

79.122
3

ინჟინერ-გიოლოგი ა. გავაშელი



18

ჭიათურის უავი ქვის სახაღო
და
მისი ცალკეული მაღაროების
გეოსამთრტექნიკური პიროგები



ჭიათურის უავი ქვის საბადო
და მისი ცალკეული მაღაროების
გეოსამთრბექნიკური
პრობები

K79.122
3

ინჟ. ა. გოგავასი და ინჟ. ი. ნაზაროვის რედაქციით

საქმე-2000
ფეხტოფეხტო

ტექნოლოგია „ტექნიკა და შრომა“
თბილისი



ვუძღვნი ზიათურის შავი ქვის
სამრეწველო ექსპლუატაციის
60 წლისთავის უმსრულეობას.

ალექსანდრე გავაშელი

98 83

23 სპ. 10-

წიგანობა

ქიათურის შავი ქვის საბადო ლიტერატურაში ცნობილია 1854 წ-დან და მისი ექსპლუატაცია დაიწყო 1878 წელს. იგი მსოფლიოს ყველა შავი ქვის საბადოზე უკეთესია, როგორც ოდენობით და ხარისხით, ისე დამუშავების მხრივ და განლაგება-მდებარეობის პირობებით. ზემოთაღნიშნული მდგომარეობის მიუხედავად ქიათურის შავი ქვის საბადოს შესახებ წინამდებარე ხასიათის შრომა არც რუსულად და არც ქართულად არ არსებობს. ასეთი შრომა კი აუცილებელია ჩვენი საბადოს რაციონალური ექსპლუატაციისათვის და მან უშუალო პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიოს ქიათურის სამთომადნო მრეწველობის კოლექტივს საერთოდ და ჩვენს მაღაროებში მომუშავე სტახანოველებს, სამთო ინჟინრებსა და ტექნიკოსებს განსაკუთრებით. იგი საჭიროა, აგრეთვე, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ქიათურის სამთო ტექნიკუმის მსმენელთათვის და საქართველოს კვალიფიკაციის ამალგების ინსტიტუტის ქიათურის ფილიალის კურსების მსმენელთათვის.

წიგნში განხილულია შავი ქვა და მისი მნიშვნელობა, ქიათურის შავი ქვის საბადოს საერთო ნაწილი და მისი ცალკეული მაღაროების გეოსამთოტექნიკური პირობები.

ალექსანდრე გავაშელი.

15/VIII—1939 წ.
ქალ. ქიათურა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

შავი ქვა და მისი მნიშვნელობა

მანგანუმი (Mn) ქიმიური ელემენტია, ბუნებაში თვითნაბადის სახით არ გვხვდება. გეოლოგ მეცნიერების გამოანგარიშებით იგი დედამიწის ქერქის მთელი მასის 0,09—0,10% შეადგენს და მეტ-ნაკლებად მონაწილეობას იღებს ჩვენს ცთომილზე არსებულ თითქმის ყველა ქანში. მანგანუმი რკინის მუდმივი თანამგზავრია და, როგორც არსებითი შემადგენელი ნაწილი, ასზე მეტ მინერალში შედის. მაგრამ ძლიერ ცოტაა ლითონური მანგანუმის უხვად შემცველი მინერალები. მანგანუმის ცოტად თუ ბევრად დიდი რაოდენობით შემცველი მინერალები შავი ქვის მადნის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ლითონი ფერის მიხედვით ძალიან უახლოვდება რკინას და აქვს ოდნავად მოწითალო გამოეღვარების თვისება. ლითონ მანგანუმის კუთრი წონა უდრის 7,39; ახასიათებს მსხვრევალობა. შავი ქვის მადნები მეტწილად წარმოადგენს უანგბადოვან ნაერთებს და გვხვდება ქვემოთდასახელებული მინერალების სახით:

1 ცხრილი.

№ რიგ.	მინერალების სახელწოდება	ქიმიური შემადგენლობა
1	პიროლუზიტი	MnO ₂
2	პოლანიტი	MnO ₂
3	ფსილომელანი	Mn ₂ MnO ₅
4	მანგანიტი	Mn ₂ O ₃ ·H ₂ O
5	ბრაუნიტი	3Mn ₂ O ₃ ·MnSiO ₃
6	ჰაუსმანიტი	Mn ₂ O ₄
7	როდონიტი	MnSiO ₃
8	როდოქროზიტი	MnCO ₃
9	ვ ა დ ი	MnO ₂ ·MnO·nH ₂ O
10	ფრანკლინიტი	(Fe, Zn, Mn)O·(Fe)

მსოფლიო მნიშვნელობის შავი ქვის საბადოების ძირითადი შემადგენელია პიროლუზიტი და ფსილომელანი, რომელნიც განლაგებული არიან ზღვის ნორმალურ დანალექ ქანების გარემოში (ჰიათურა, ნიკოპოლი და სხვა).

გოგირდიანი მანგანუმის მინერალები (ალაბანდინი, ჰაუსმანიტი) იშვიათად გვხვდება და უმთავრესად მოთავსებული არიან მაგმატური საბადოების საზღვრებში. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შავი ქვის მადნები მათი მოხმარება-დანაშნულების მიხედვით უნდა შეიცავდეს 30—42—45—48% Mn;

გარეცხვით გამდიდრების თვისების მქონე მადნებიდან გამოიყენება 15—44% Mn, რომელთა გაუხვების შედეგად კონცენტრატში შესაძლებელია მივიღოთ 48—58% Mn.

მრავალფეროვანია მანგანუმის გამოყენების დარგი.

იყენებენ მას მეტალურგიაში, ელექტრო-ქიმიურ და მინის მრეწველობაში, პოლიგრაფიულ (ბეჭდვის) საქმეში, მედიცინაში და ბოლო ხანებში — სოფლის მეურნეობაშიაც, როგორც ნიადაგის გამანოყიერებელ ნივთიერებას.

მაგრამ მანგანუმის ძირითადი და უმთავრესი მომხმარებელია შავი მეტალურგია, რომელსაც ამათუიმ სახით სჭირდება მანგანუმი ფოლადის და თუჯის ფიზიკური და მექანიკური თვისებების გასაუმჯობესებლად. ამიტომ ამოღებული შავი ქვის მადნის 90% მეტალურგიულ წარმოებას ხმარდება, ხოლო აქედან 75% სხვადასხვა შენადნობის წარმოებას, მეტადრე ფერო-მანგანუმის, სარკისებრივი თუჯის დასამზადებლად იხარჯება. საერთოდ მანგანუმის გამოყენება მეტალურგიაში იმდენად დიდია, რომ იგი საშუალოდ 1%-ზე მეტს შეადგენს მთელი გამოდნობილი ფოლადის რაოდენობასთან შეფარდებით.

მანგანუმის მიმატება იმის გარდა, რომ ფოლადს ხდის უფრო ქედადს და მოქნილს, დიდად უწყობს ხელს ლითონის აბაზანის განუხევას. ეს იმიტომ რომ მაღალ ტემპერატურაში მანგანუმს აქვს იოლად დაქანგვის თვისება და ამის გამო აბაზანაში რკინის აღმდგენელის როლს ასრულებს.

მანგანუმის მეშვეობითვე ხდება თხევადი ლითონის ნაწილობრივი განვოგირდება; თხევად ლითონიდან მას ვოგირდი MnS-ის სახით გადაჰყავს წიდაში. ამასთანავე რკინას ანიჭებს ნახშირბადის ბლომად შთანთქმის უნარს და ხელს უშლის უკანასკნელის გამოყოფას გრაფიტის სახით. მანგანუმი აღიდებს წილის თხევადობას და ამით აჩქარებს რეაქციის მსვლელობას ლითონის აბაზანაში. მანგანუმი დიდი რაოდენობით იხარჯება ფერადი ლითონების შენადნობის მისაღებადაც მაგალითად, კუპრა-მანგანუმი, მანგანუმიანი კაქმეპეიანი ალუმიონიუმი და სხვა.

ქიმიური მრეწველობისათვის უალრესად დიდი მნიშვნელობისაა მანგანუმის ორქანვი (MnO_2), რომელსაც ფართო ვაჰოყენება აქვს საერთოდ და მეტადრე მშრალი ელექტრო-ელემენტების დამზადების საქმეში. რაც შეეხება მინის მრეწველობას, აქ კარგი ხანია იყენებენ მანგანუმს მინის სხვადასხვა ფერის გამოსასწორებლად. ფართო მოხმარება აქვს მანგანუმს აგრეთვე ქლორის, იოდის და ბრომის დამზადების საქმეში, მნათი აირების წმენდისა და საღებავების წარმოებაში ფერადი საღებავების დასამზადებლად. მანგანუმისგან ამზადებენ პრეპარატებს და მარილებს, რომელთაც ხშირად იყენებენ ქიმიურ ლაბორატორიებში, მედიცინაში და სხვ.

ერთი სიტყვით, ფრიად ვრცელია მანგანუმის გამოყენების სფეროები. ამიტომ სასურველი და საჭიროა, რათა მანგანუმს და მის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ჯეითურის მანგანუმს (შავ ქვას) იცნობდნენ არა მარტო შავი ქვის სპეციალისტები და მომხმარებლები, არამედ მშრომელთა ფართო მასები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამრეწველო მნიშვნელობის შავი ქვის საბადოები დიდ როლს ასრულებენ სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

მსოფლიო მნიშვნელობის შავი ქვის საბადოები



სამრეწველო მნიშვნელობის შავი ქვის საბადოები ცოტაა მსოფლიოში, ასეთებია: ჭიათურის, ნიკოპოლის, ბრიტანეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, დასავლეთ აფრიკის, სამხრეთ აფრიკის, ეგვიპტესი და მაროკოს საბადოები. ეს საბადოები მეტწილად ამარაგებენ მსოფლიო ბაზარს შავი ქვის მადნით და დიდ როლს ასრულებენ შავი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის განვითარების საქმეში. მსოფლიო მნიშვნელობის შავი ქვის საბადოების მადნის მარაგი იძლევა შემდეგ სურათს: ¹

2 ცხრილი.

№ს რიგში	ქვეყნების ან საბადოების დასახელება	მარაგი ათას ტონებში	
		ნედლი მადანი	მშრალი მადანი
1	ჭიათურა		191085,5 ²
2	ნიკოპოლი	100000	
3	ბრიტანეთის ინდოეთი	114000	
4	ბრაზილია	148000	
5	დასავლეთ-აფრიკა (ოქროს ნაპირი)	20000	
6	სამხრეთ-აფრიკა	18300	
7	ეგვიპტე	16855	
8	მაროკო	31000	

ილუსტრაციისათვის მოვიყვანოთ შავი ქვის მსოფლიო მნიშვნელობის საბადოების ქიმიურ შემადგენლობის შედარებითი ცხრილი (ცხრ. იხ. მე-7 გვ.).

მსოფლიო მნიშვნელობის საბადოებში ყველაზე მნიშვნელოვანია ჭიათურის შავი ქვის საბადო, არა მარტო მარაგით, არამედ შავი ქვის ხარისხითაც; სწორედ ამიტომ იყო, რომ ჭიათურის საბადოსაკენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყოველმხრივ მოილტვოდნენ უცხოელი თუ შინაური კონცესიონერები და აწარმოებდნენ მის მტაცებულურ ექსპლუატაციას.

მსოფლიოში ცნობილია კიდევ მთელი რიგი შავი ქვის საბადოები, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ, ასეთებია: კრიმოიის (ამერიკის შეერთებული შტატები), კუნძულ კუბაზე, იაპონიისა, იტალიისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, შვეციისა, კანადისა, ავსტრალიისა, ესპანეთისა და საბერძნეთის.

¹ ჭიათურის შავი ქვის მადნის მარაგის გარდა, მადნის მარაგები მოცემულია 1933 წელს ლიტერატურაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით.

² ამ რიცხვში შედის, როგორც სამრეწველო, ისე ამჟამად არასამრეწველო მნიშვნელობის მადნები.

№ რიგზე	ქვეყნების ან საზღაღოების დასახელება	მადნის დასახელება	შემცველობა პროცენტში				
			Mn	MnO ₂	SiO ₂	P	
1	ჭიათურის შავი ქვის საბადო	წვრილმარცვლოვანი . . .	47,41	74,44	12,62	0,264	
		საშუალომარცვლოვანი . . .	49,48	78,09	10,54	0,219	
		მსხვილმარცვლოვანი . . .	44,0	69,50	16,67	0,232	
		პლასტი	48,17	76,10	11,02	0,232	
		საცხრილე	50,0	77,62	9,10	0,215	
		მურაბელტა	39,0	40,15	11,0	0,210	
		შაგბელტა	49,0	77,00	12,0	0,210	
ქლაღი	20—38	28,66	13,63	0,195			
	მნატეფლორებიანი მადანი	37,1	54,45	19,00	0,294		
	მწვარი	20—30	32,00	2,02	0,219		
	კარბონატული მადანი . . .	14—33	1,15	1,35	0,235		
2	ნიკოპოლის შავი ქვის საბადო	გარეცხილი მადანი	1-ლი ზარისხის მადანი	48,03	68,28	9,64	0,183
			2-რე ზარისხის მადანი	40,43	—	18,33	0,18
			3-მე ზარისხის მაჯანი	34—37	—	22,22	0,17
		გაფრეცხილი მადანი	სანგრევის მადანი	20,34	—	6—36	2,00
3	ბრიტანეთის ინდოეთი	სასაქონლო მადანი	51,0	—	5—7	0,10	
4	ბრაზილია	გარეცხილი მადანი	44—50	—	5—14	0,20	
5	ოქროს ნაპირი (დასავლეთი აფრიკა)	გარეცხილი მადანი	50—52	—	3—7	0,12	
6	სამხრეთი აფრიკა	სასაქონლო მადანი	45,0	—	1—7	—	
7	ეგვიპტე (უმბეგმის საბადო)	სანგრევის მადანი	32,0	—	2,8	0,13	
8	მაროკო (ბუაფრას საბადო)	სანგრევის მადანი	42,0	—	—	—	

ჭიათურის შავი ქვის საბადო

საბადოს ადგილმდებარეობა

ჭიათურის შავი ქვის საბადო მდებარეობს ჭიათურის რაიონში და მოთავსებულია მდინარე ყვირილის ხეობის შუა ნაწილში. იგი სადგურ შორაპნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაცილებულია 40 კილომეტრით. თვით ქალაქი ჭიათურა მდებარეობს საბადოს საზღვრებში და სადგურ შორაპანს უერთდება ვიწროლიანდაგიან რკინის გზის შტოთი.

საბადოს ოროგრაფია

ოროგრაფიულად ჭიათურის შავი ქვის საბადოს რაიონი წარმოდგენილია შედარებით უტყეო ვაკე მაღლობით, რომლის აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს 533,5 მეტრიდან (ტრიანგულაციის წერტილი—დარკვეთი № 2) 800,2 მეტრამდე (ტრიანგულაციის წერტილი—რგანი № VI).

საბადოს ზედაპირის სიმაღლე დაბლდება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და მდინარე ყვირილის ღრმა ხეობით გაკვეთილია ორ ნაწილად (ჩრდილო-დასავლეთად და სამხრეთ-აღმოსავლეთად). აღნიშნული ნაწილები თავის მხრივ იკვეთებიან გვერდითი ხეობებით და წარმოშობენ მთელ რიგ სხვადასხვა სახელწოდების ზეგნებს (ქვედა რგანი, რგანი, ბუნიკაური, ზედა რგანი, თაბაგრები, მღვიმევი, დარკვეთი, სარეკი, ფასიეთი, ითხვისი, შუქრუთი და პერევისა). ცალკეული ზეგნების ფარდობითი სიმაღლე მდინარე ყვირილის დონესთან შედარებით მერყეობს 200—300—400 მეტრამდე. ბუნებრივია, რომ ჭიათურის შავი ქვის საბადოს რაიონის უმდაბლესი აბსოლუტური სიმაღლეები მდინარე ყვირილის ხეობაში მდებარეობენ, მათი სიმაღლე ქალაქ ჭიათურის მიდამოებში მერყეობს 340—350 მეტრამდე შავი ზღვის დონესთან შედარებით. ჭიათურის შავი ქვის საბადოს მიდამოებში განვითარებულია ყათრები (ტერასები); პირველ საფეხურის ყათარს ვამჩნევთ ზედა ცარცის კირქვებისა და შავი ქვის წყების შეხების საზღვარზე. ამის მეოხებით შავი ქვის ფენები ძლიერ კარგადაა გამოჩენილი საბადოს ზედაპირზე და ეს გარემოება დადებით როლს ასრულებს მადნის ექსპლუატაციის განვითარების საქმეში, რამდენადაც მადნის შრეები ადვილი მისაწდომია დამუშავებისათვის.

რაიონში შესამჩნევად არის განვითარებული კარსტული წარმოშობის ძაბრული ჩანაქცევები, რომელთაც განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავიათ რგანის ზეგანზე და პერევისაში. მათი განვითარების ადგილი რგანის მთაში ადგილობრივ მოსახლეობის მიერ წოდებულია „ორმოებად“.

ქიათურის რაიონის ზედა ცარცის კირქვების ციცაბო ლავგარდანებში დიდი რაოდენობით გვხვდება თითქმის მიუვალი გამოქვაბულები. ზოგჯერ ნაპოვნია მოქვაბულში ნაპოვნია ქვის ხანის კაჟის იარაღები, მეოთხეული ანაკის-მუხუ-მწოვარ ცხოველების ძვლები და სხვა, რაც იმას ამტკიცებს, რომ წინაისტორიულ პერიოდში აღნიშნულ ადგილებში ადამიანს უცხოვრია.

საბადოს შიდაფორმაცია

ქიათურის შავი ქვის რაიონის მდინარეთა შორის ყველაზე დიდი მდინარეა ყვირილა, რომელიც თავისი ვიწრო ღრმა (250—300 მ.) და ზოგ ადგილას ციცაბო ხეობით ორ ნაწილად ჰყოფს რაიონს და წარმოადგენს წყლის მთავარ არტერიას ამ რაიონში. გარდა ამისა ქიათურის სამთომადნო მრეწველობის რაიონი დასერილია სხვა უფრო მცირე მდინარეებით, რუებით, ხევეებით, ნაკადულებით და წყაროებით. ამ მიდამოებში მდინარე ყვირილას მარჯვენა მხრიდან ერთვის მდინარე ჯრუჭულა და შენაკადები: წყალწითელა, წირქვალის ღელე, თაბაგრების ღელე და რგანის ღელე.

მდინარე ყვირილის მარცხენა შენაკადებია: შულვათის ღელე, ცავახეთის ღელე, შუქრუთის ღელე და სხვა პატარა ხევეები და ნაკადულები.

ყვირილის ხეობის კირქვების ქვედა ნაწილში საკმაო რაოდენობით გვხვდება წყაროები და ზოგან ვნახულობთ კარსტული წარმოშობის მიწისქვეშა წყალსაცავებს (ტბებს). ყველა ზეგანზე შესამეულ დანალექ ქანებში ბევრია კარგი გემოსი და გამჭვირვალე ცივი წყარო, რომელნიც უმთავრესად თიხის ფენებსა და ქვიშაქვებს შორის არიან მოთავსებული.

ქიათურის შავი ქვის საბადოს კვლევა-ძიების ისტორია

წერილობითი ცნობების მიხედვით ქიათურის შავი ქვის საბადო ცნობილია წარსული საუკუნიდან და პირველ ლიტერატურულ მონაცემებს დასახელებული საბადოს შესახებ ჩვენ ვნახულობთ 1854 წლის სამთო ჟურნალში (I ნაწილი, 3 წიგნი) ინჟინერ კომაროვის სტატია: „Известие о достоинстве найденного на Кавказе месторождения марганца“. წერილში ძალიან მოკლედ არის დახასიათებული მის მიერ სოფელ ნავარძეთის მიდამოებში ნახული შავი ქვის ფენის გამოსავალი, რომელიც ქიათურიდან დაცილებულია 3 კილომეტრით.

ოთხი წლის შემდეგ ამავე ჟურნალში (II ნაწილი, 404—433 გვერდი) გამოქვეყნდა აკადემიკოსი აბიხის შრომა: „О марганцевых рудах в Закавказском крае“. აბიხმა ძირითადად პირველმა დაადგინა ჩვენი შავი ქვის მადნის მთავარი მინერალოგიური შემადგენლობა, მანვე გეოლოგიურ და ლაბორატორიულ მონაცემების საფუძველზე ქიათურის შავი ქვის საბადოს მისცა დადებითი ხასიათის სამრეწველო შეფასება. დაახლოებით ორი წლის შემდეგ ქიათურის საბადოს შესწავლას აწარმოებდნენ ს. სიმონოვიჩი და, შედარებით უფრო დეტალურად, ა. ბაცევიჩი, უკანასკნელმა თავისი წერილობითი შრომა გამოაქვეყნა კავკასიის გეოლოგიის მასალებში 1877 წ. შემდეგი სათაურით: „Геологическое описание Шоропанского уезда“.

მანვე ზოგადად პირველმა დასახა შავი ქვის გავრცელების საზღვრები და შეადგინა 1:21000 მასშტაბიანი ქიათურის საბადოს გეოლოგიური რუკა. გეოლოგ ს. სიმონოვიჩის სტატია: „О геологических наблюдениях в бассейне верхнего течения реки Риона“ გამოქვეყნდა 1880 წელს კავკასიის გეოლოგიის მასალებში. ავტორი მოკლე დახასიათებას აძლევს ქიათურის შავი ქვის მატარებელ ფორმაციას და თვით შავი ქვის მადნებს, ის შემდეგ დასკვნამდე მიდის: „კოლხიდის შავი ქვის მადნების საბადოები ცნობილი უნდა იქნეს როგორც ერთადერთი ევროპაში“.

ქიათურის საბადოს დეტალური სტრატეგრაფიული შესწავლა დაიწყო პროფესორ ვ. ვ. ბოგაჩოვმა 1913 წელს. მან სათანადო ნაშრომების დაწერილობითი შესწავლის ნიადაგზე დააზუსტა სტრატეგრაფია და გამოსთქვა ის აზრი, რომ ქიათურის შავი ქვის საბადოს წარმოშობა დაკავშირებულია ბეოქიმიურ პროცესებთან ოლიგოცენის ზღვაში. მისი შრომა გამოქვეყნდა აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოამბეში 1924 წელს შემდეგი სათაურით: „Геологический очерк Чиатурского бассейна“.

დელა-სოსის მიერ 1926 წელს ქიათურის შავი ქვის შესახებ გამოქვეყნებული იქნა შრომა გერმანულ ენაზე. დელა-სოსი თავის შრომაში დიდ ადგილს უთმობს ქიათურის საბადოს სტრატეგრაფიულ და გენეზისურ საკითხებს.

1924 წელს შედარებით დეტალური გეოლოგიური მუშაობა ჩატარებული აქვს აწ განსვენებულს ინიჟინერ-გეოლოგ კ. ვ. მარკოვს, რომლის მუშაობის შედეგები გამოვიდა 1931 წელს სახელმწიფო გეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარი სამმართველოს მე-27 გამოცემაში შემდეგი სახელწოდებით: „Чиатурский марганцевый район“.

მარკოვი იძლევა საბადოს აუზის გეოორგრაფიულ ნარკვევს გეოლოგიური რუკითა და ჭრილებითურთ. მის მიერ შედარებით კარგად არის დახასიათებული შავი ქვის ფენის შემადგენლობა და აგებულება. მისი ყურადღება მიპყრობილია ცალკეული ზეგნების სამრეწველო შეფასებაზე.

1928 წელს კონცესიონერებთან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ და შავი ქვის ტრესტის დაარსებისთანავე წამოიჭრა ქიათურის სამთოდანო მრეწველობის გენერალური რეკონსტრუქციის პროექტის შედგენისა და შავი ქვის საბადოს ყოველმხრივ შესწავლის აუცილებლობა.

ამ მიზნით 1929—30 წ. ლენინგრადის გეოლოგიურმა პარტიამ გეოლოგ ბეტხტინის ხელმძღვანელობით ქიათურის საბადოზე ჩაატარა გეოლოგიური კვლევა-ძიებითი მუშაობა, რის საფუძველზე შედგენილ იქნა შედარებით დეტალური 1:10000-მასშტაბიანი გეოლოგიური და შავი ქვის შრის საგები გვერდის რუკები. ამავე პარტიამ შეადგინა შავი ქვის შრის სიმძლავრეთა კარტოგრამა და გამოთვალა მარაგი.

1933 წელს ბეტხტინის მიერ იქნა შედგენილი ანგარიში „Промышленная оценка Чиатурского марганцевого месторождения“ (ხელნაწერი საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში). ნაკრები ცნობების საფუძველზე ქიათურის შავი ქვის საბადო კარგად აქვს დამუშავებული გეოლოგ ს. ჩიხელიძის

საქართველოს მინერალური რესურსების კრებულში, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ 1933 წელს ქ. თბილისში.

ლენინგრადის გეოლოგიური პარტიის მიერ ჩატარებული მუშაობის ფუძველზე ქიათურის შავი ქვის ტრესტმა მიიღო შესაძლებლობა ეწარმოებია სამრეწველო დავალებათა დამუშავება შავი ქვის რეკონსტრუქციის დარგში. შავი ქვის მრეწველობის გენერალური რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელებამ მითითოვა საბადოს კიდევ უფრო დაზუსტებით შესწავლა. 1934 წელს შეიქმნა ქიათურის გეოლოგიური პარტია, რომლის მუშაობის საფუძველზე შედგენილია შავი ქვის შრის საგები გვერდის მსხვილმასშტაბიანი რუკები, გეოლოგიური პროფილები, სტრატოგრაფიული სვეტები და შავი ქვის ფენის დეტალური ჰრილები.

ამასთანავე ჭაბურღილების საშუალებით მთავარ ზეგნებზე გამორკვეულია სამრეწველო მადნის გავრცელების საზღვრები, ფორმა, განლაგების ელემენტები და სხვა. დასინჯვის მეოხებით შესწავლილი და განსაზღვრულია მადნეული მინერალების ხარისხი. ქიმიური ანალიზებით გამორკვეულია სასარგებლო ელემენტების (Mn, MnO₂) და მათში შემავალ მანეგ შენაერთების (SiO₂, P) საშუალო პროცენტული რაოდენობა როგორც ცალკეულ უბნებისათვის, ისე მთელი საბადოსათვის. დადგენილია შავი ქვის შუაშრისთა რიცხვობრივი შეფარდება ფუქჩანთა შუა ფენებთან. საერთოდ ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოთვლილია შავი ქვის მადნის სამრეწველო მნიშვნელობის მარაგი, მისი კუთრი წონები, სინესტი და სხვა.

აღნიშნული მუშაობის შედეგად 1936 წელს შედგენილი იქნა გეოლოგიურ-კვლევითი ანგარიში: „Чиатурское марганцевое месторождение“ (ხელნაწერი საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოშია). აღნიშნული შრომა ძალზე დიდი მოცულობისაა და მის შედგენაში მონაწილეობას იღებდა აწ განსვენებული პროფ. კ. გაბუნია, ა. ბეტებტინი, გ. ავალიანი, ი. ნაზაროვი, ტ. ჩიტაია, ბ. მელქუმანი და ა. გავაშელი. 1936 წლის მაისში ა. გავაშელმა თურნალ „ტექნიკა და შრომა“-ში (№ 5) გამოაქვეყნა წერილი „ქიათურის მარგანეცის ზოგიერთი საკითხი“. ამ წერილში მოკლედ არის აღნიშნული ქიათურის გეოლოგიური პარტიის 1934—35 წ.წ. მუშაობის შედეგების შესახებ და შავი ქვის რაციონალური ექსპლუატაციის მიზნით გადასაჭრელად დასმულია მთელი რიგი საკითხები.

ამავე წლის აგვისტოს თვეში თურნალ „ტექნიკა და შრომა“-ს მე-8 №-ში ა. გავაშელს გამოქვეყნებული აქვს წერილი: „ქიათურის მარგანეცის საბადო“. ამ წერილში ავტორი ეხება საბადოს გეოლოგიას და შავი ქვის მადნის ტიპებს.

1936 წლის ნოემბრის თვეში ა. გავაშელმა თურნალ „Разведка недр“-ის 21 №-ში გამოაქვეყნა შრომა: „Результаты разведки Чиатурского марганца“.

1936 წელს ა. ბეტებტინმა გამოაქვეყნა შემოკლებით ის გეოლოგიური მუშაობის ანგარიში, რომელიც მე უკვე ზევით მოვისხენიე, შემდეგი სათაურით: „Чиатурское марганцевое месторождение и его промышленная характеристика“.

ამის გარდა ა. ბეტებტინმა 1937 წელს ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის მოამბეში (XI ტ., I გამოშვება) გამოაქვეყნა შემდეგი წერილი: „Влияние орогенетических движений на состав рудоносных фаций Чиатурского марганцевого месторождения“.

ამ წერილში ავტორს განხილული აქვს რაიონის გეოლოგიური აგებულება, რაიონის გეოლოგიური ისტორია, საბადოს გენეზისი და ოლიგოცენის ნალექების აგებულება-შემადგენლობა.

1937 წელს საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ქიმიური ინსტიტუტის მიერ გამოცემულია პროფ. ე. ი. როდეს შრომა შემდეგი სათაურით: „Физико-химическое изучение марганцевых минералов и руд“.

ამ შრომაში სხვა შავი ქვის საბადოების მადნების გარდა დახასიათებულია აგრეთვე, ჭიათურის საბადოს მადნების ზოგიერთი ტიპის ფიზიკო-ქიმიური თვისებანი, რომელთა შესწავლის საფუძველზე აგებულია მთელი რიგი თერმული მრუდები.

1938 წლის ჟურნალ „ტექნიკა და შრომა“-ს 1 №-ში გამოქვეყნებულია ა. გავაშელის წერილი სათაურით: „მარგანეცი და მისი მნიშვნელობა“. ამ წერილში კომპლექსურად არის განხილული შავი ქვის სამრეწველო მნიშვნელობა და ჭიათურის შავი ქვის საბადოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

ამავე წელს ჟურნალ „ტექნიკა და შრომა“-ს მე-7 №-ში ა. გავაშელის მიერ გამოქვეყნებულია მოკლე წერილი: „ჭიათურის მიწისქვეშა სამუშაოების ბუნების პასპორტიზაციისათვის“. ამ წერილში დასმულია ზოგიერთი სამთო ტექნიკური ხასიათის საკითხი, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს საბადოს რაციონალური ექსპლუატაციის საქმეს.

1938 წელს ჟურნალ „ტექნიკა და შრომა“-ს მე-9 №-ში გამოქვეყნდა ა. გავაშელის წერილი ჭიათურის კარბონატული მადნების შესახებ შემდეგი სათაურით: „ჭიათურის თეთრი მანგანო-კალციტის მადნის ბუნებისა და გამოყენების პერსპექტივების შესახებ“. ამ წერილში განხილულია შავი ქვის თეთრი მადნების გეოლოგიური პირობები და მათი მრეწველობაში გამოყენების პერსპექტივები. ეს წერილი ზოგიერთი დამატებით 1938 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „Разведка недр“-ის მე-12 ნომერში ასეთი სათაურით: „Сылые марганцево-кальцитовые руды Чиатурского марганцевого месторождения“.

1938 წელს გ. ავალიანის ხელმძღვანელობით საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს საძიებო პარტიამ ჭიათურის საბადოს ქვედარგანის ზეგანზე ჩაატარა სამრეწველო მნიშვნელობის კვლევითი მუშაობა და წინასწარი კვლევა-ძიებითი მუშაობა ფასიეთის ზეგანზე. მუშაობის შედეგად გ. ავალიანმა ა. გავაშელის მონაწილეობით შეადგინა გეოლოგიური ანგარიში, რომლის გამოყენებამ შესამჩნევად გააუმჯობესა ამხანავ ვოროშილოვის სახელობის მალაროების რაციონალური ექსპლუატაციის საქმე. 1939 წელს მაისის თვეში ჟურნალ „Разведка недр“-ის 4—5 №-ში ა. გავაშელის მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი სტატია: „Табагребское нагорье Чиатурского марганцевого бассейна“. 1939 წლის მაისის თვეში სამთო ჟურნალში (Горный журнал) ა. გავაშელმა გამოაქვეყნა წერილი შემდეგი სათაურით: „Результаты эксплуатационной разведки на марганцевом руднике им. Ворошилова № 2—3“. დასახელებულ წერილში ავტორის მიერ მოკლედ განხილულია ქვედა რგანის ზეგანის გეოლოგიური აგებულება და მთელი რიგი პრაქტიკული მნიშვნელობის სამთო ტექნიკური საკითხები.

1939 წლის სამთო ჟურნალის მე-8 №-ში ა. გავაშელის მიერ გამოქვეყნებულია წერილი შემდეგი სათაურით: „Геогорнотехническая характеристика рабочей марганцевой толщи рудников Чиатурского бассейна“.

აღნიშნულ წერილში განხილულია ქიათურის ცალკეული მაღაროების შავი ქვის სამუშაო შრე და მომავალი მუშაობის ამოცანები.

ქიათურის შავი ქვის საბადოს ექსპლუატაციის მოკლე ისტორია

ქიათურის შავი ქვის საბადო, როგორც უკვე ზევით აღვნიშნე, პირველად აღმოაჩინა ინჟინერმა კომაროვმა 1854 წელს. შემდეგ დასახელებულ საბადოს 1858 წელს დადებითი ხასიათის სამრეწველო შეფასება მისცა აკადემიკოსმა აბიხმა.

ქიათურის შავი ქვის საბადოს დამუშავება დაიწყო 1879 წლიდან, როდესაც გაზიდული იყო ევროპაში 51.000 ფუთი შავი ქვა. უცხოელები თავიდანვე ძლიერ დაინტერესდნენ ქიათურის შავი ქვით. ზოგ მათგანმა შეიძინა შავი ქვის ნაკვეთები და შუუღენენ მათ ექსპლუატაციას. იმავე დროს ადგილობრივმა წერილ მრეწველებმაც დაიწყეს შავი ქვის დამუშავება. ისინი კარგად იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს და უფრო ჩაებმენ შავი ქვის დამუშავების საქმეში, ვიდრე უცხოელები. უცხოელებმა პირველ ხანებში ხელი გაუშვეს უშუალოდ შავი ქვის დამუშავების საქმეს და ამის მაგიერ დაიწყეს ადგილობრივი მრეწველობიდან გამზადებული შავი ქვის შესყიდვა და შემდეგ მისი საზღვარგარეთ გაზიდვა—ექსპორტი.

შავი ქვის ხელსაყრელი გეოლოგიური პირობებისა და მისი დამუშავების სიადვილის გამო—ქიათურის შავი ქვის მრეწველობაში ჩაება ბევრი წერილი მრეწველი, რომლებიც მაღაროების მუშაობას არ იცნობდნენ და არც სათანადო სახსრები ჰქონდათ მაღაროს მუშაობის წესიერი მოწყობისათვის. საბადო მუშავდებოდა ხელით, შინამრეწველური და პრიმიტიული წესებით და მცირე ზომის შავი ქვის ნაკვეთებზე. მაღაროს მუშაობას მტაცებლური ხასიათი ჰქონდა. მაღაროდან გამოჰქონდათ მარტოდ მაღალხარისხოვანი მადანი (ე. წ. „პლასტი“ და მსხვილნატეხოვანი ქვა). შემდეგ წლებში გამოჰქონდათ წვრილმარცვლოვანი მადანიც, მაგრამ მას წინასწარ გაატარებდნენ ცხრილში, რაც ვადიოდა ცხრილში, ის იქვე იყრებოდა—რჩებოდა, როგორც უვარგისი ქვა. ეს უკანასკნელი, „ნაცხრილის“ სახელწოდებით, შეიცავდა იმდენი რაოდენობის მანგანუმს, რომ შემდეგში (და ახლაც) აწარმოებდნენ მის ხელმეორედ დამუშავებას გარეცხვით—გამდიდრებით, რის შედეგად ლეზულობდნენ კარგი ხარისხის გარეცხილ შავ ქვას. მრავალი წლის განმავლობაში რბილი შავი ქვა ე. წ. ბელტა რჩებოდა ბუღბუღში ამოუღებლად, და თუ მას ამოიღებდნენ, იქვე უშვებდნენ ფუჭი ქანის ნაყარში.

სამთო ინჟ. ლუი პანსიემ (1901 წ.) პირველად ქიმიური ანალიზით გამოარკვია ბელტის ვარგისობა, როგორც მადნის, რომელიც შეიცავს 48% მანგანუმს, და ამის შემდეგ დაიწყეს ბელტის ამოღებაც და გაზიდვაც.

საერთოდ შავი ქვის მტაცებლური დამუშავების გამო მადნის დანაკარგები 40%-ს აღემატებოდა.

რკინის გზის შტოს გაყვანამ 1896 წ., შორაპნიდან ქიათურამდე, ხელი შეუწყო შავი ქვის მრეწველობის განვითარებას, იმის მიუხედავად, რომ პირველ ხანებში გადაზიდვის დიდი ფასების გამო ძალიან ბრკოლდებოდა შავი ქვის ექსპორტის საქმე.

1900 წლიდან ქიათურის მრეწველობაში თანდათან შემოვიდა საშუალო და მსხვილი კაპიტალი, უმთავრესად უცხოეთის ფირმების სახით. მათი რიცხვი 1910 წელს საკმაოდ გადიდა (საზ. დარკვეით, ლუი პანასიე, კარუტო, გელზენკირხენი, ყორფულ-სელარი და სხვა). ამავე დროიდან თანდათან შენდებოდა გამამდიდრებელი ქარხნები, რომელთა რიცხვი 1923 წელს 31 უდრიდა.

იმპერიალისტური ომის პერიოდში ქიათურის შავი ქვის მრეწველობა განადგურების გზას დაადგა, მადნის ამოღება და მისი ექსპორტი შეტად დაეცა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქიათურის შავი ქვის მრეწველობა აღმავლობის გზით წავიდა, შედარებით უკეთ იქნა მოვარებული შავი ქვის რაციონალური ექსპლუატაციის საქმე, გაუმჯობესდა მოშათა ყოფაცხოვრების პირობები და ტექნიკური ზედამხედველობა. 1923 წელს დაარსებული იქნა „შავი ქვის საგანგებო სამმართველო“ და საბადოს დამუშავებას შეუდგა სახელმწიფო. ორი წლის განმავლობაში (1923 წლიდან 1925 წლამდე) სათანადო მუშაობა ჩატარდა დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის, შედარებით მოწესრიგდა ფოთის ნავთსადგურის მუშაობა და შავი ქვის ექსპორტის საქმე.

1925 წლის ივნისში საქართველოს შავი ქვის მეურნეობის ძირითადად გარდაქმნის მიზნით ტექნიკის ახალი მიღწევების საფუძველზე ქიათურის შავი ქვის მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლებამ 20 წლის იჯარის ვადით გადასცა ამერიკელ კონცესიონერს ჰარიმანს.

ხელშეკრულების მიხედვით კონცესიონერის ძირითადი ვალდებულება სამეურნეო ხაზით იყო:

1. გაენვითარებია მადნის ამოღების, დატვირთვის, ტრანსპორტის მექანიზაცია;

2. მასვე უნდა აეგო ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები, მოეხდინა მადნის რეცხვის გაუმჯობესება—ამ დარგში ახალი მიღწევების გამოყენებით იმ თვალსაზრისით, რომ მადნის დანაკარგი გარეცხვის დროს ყოფილიყო მინიმუმალური;

3. შორაპან-ქიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა უნდა შეეცვალა ფართოლიანდაგიანით;

4. ხელშეკრულების თანახმად—უნდა გადაეკეთებინათ ფოთის ნავთსადგური იმ ანგარიშით, რომ შავი ქვით სავსე ვაგონების გადატვირთვა და მითი გემების დატვირთვა მექანიზებული ყოფილიყო;

5. კონცესიონერს უნდა ეწარმოებია კვლევა-ძიება ზესტაფონში ფერომანგანუმის ქარხნის აგებისათვის და სხვ.

ჰარიმანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ შეასრულა, ვინაიდან იმის ყურადღებას მხოლოდ ეკონომიური მხარე, საბადოს მტაცებლური ექსპლუატაციით მეტი მოგების მიღება იპყრობდა. ერთი სიტყვით კონცესიის პერიოდში ქიათურის შავი ქვის მრეწველობა თანდათანობით დაქვეითების გზას დაადგა და ამიტომ 1928 წელს აგვისტოში ჰარიმანთან დადებული ხელშეკრულება გაუქმებული იქნა. საქართველოს შავი ქვის მრეწველობის სწრაფი—შემდგომი განვითარების მიზნით 1928 წლის აგვისტოში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან (სსმუსი) დაარსდა „ქიათურის შავი ქვის ტრესტი“, რომელმაც კონცესიონერიდან შავი ქვის მრეწველობის რაიონი მიიღო ძალზე გაჩანაგებულ მდ-ში. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1928 წ., როდესაც ხელშეკრულება კონცესიონერთან გაუქმებულ იქნა, მთელი სიგრძე-სიგანიით

წამოიჭრა ქიათურის სამთო-მადნო მრეწველობის გენერალური რეკონსტრუქციის პროექტის შედგენის აუცილებლობა და საბაღოს რაციონალურად დამუშავების მთელი რიგი საკითხები.

საბჭოთა კავშირის მეტალურგიის თანდათანობითი განვითარებამ და ექსპორტის შესამჩნევმა ზრდამ მოითხოვა ქიათურის შავი ქვის მურწნობის ძირ-ფესვიანად გარდაქმნა ახალი მოთხოვნილების შესაბამისად. ეს ასეც მოხდა, გენერალური პროექტის საფუძველზე ორ ხუთწლეულში ქიათურის შავი ქვის მრეწველობამ მთლიანად შეიცვალა თავისი სახე. აქვე აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ქიათურის შავი ქვის ტრესტში მოკალათებულმა მუშებელ-დივერსანტებმა თავისი მანებლური მუშაობით საგრძნობი ზიანი მიაყენეს შავი ქვის მრეწველობას საერთოდ და მის საბაღოს რაციონალური ექსპლუატაციის საქმეს განსაკუთრებით, რომლის გამოსწორებისათვის რაიონისა და შავი ქვის ტრესტის ახალ ხელმძღვანელობას დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდა და კიდევ დასჭირდება.

დასასრულ, ცნობისათვის მოგვყავს ქიათურის მადნის ამოღების დინამიკა 1879 წლიდან 1939 წლამდე.

ქიათურის შავი ქვის მადნის ამოღების დინამიკა 1879 წლიდან 1939 წლამდე

4 ცხრილი.

ვინ აწარმოებდა მადნის ამოღებას	წლები	გამოღებული მადნის რაოდენობა ათას ტონებში
1879 წლიდან 1922 წლამდე ყერძო პირები, სახლვარგარეთელი კაპიტალის* ები და სხვადასხვა სააქციონერო საზოგადოება-გაერთიანება	1879—1890	491,895
	1900	661,2
	1905	342,0
	1910	554,6
	1913 ¹	965,8
	1917	204,6
	1918	25,9
	1922	53,9
შავი ქვის განსაკუთრებული სამმართველო	1923	194,0
	1924	338,8
	1925	543,8
პარიზის კონცესია	1926	654,7
	1927	721,2
	1928	332,0
ქიათურის შავი ქვის ტრესტი (მანგანტრესტი)	1929	1507,0
	1930	1329,0
	1931	652,2
	1932	642,48
	1933	877,3
	1934	1840,0
	1935	1658,0
	1936	2332,0
	1937	2461,315
	1938	2171,506

¹ ასეთი დიდი რაოდენობის შავი ქვის ამოღება ამ პერიოდში გამოწვეულა იყო იმპერიალისტური ომის მზადებასთან დაკავშირებით და თითქმის მთელი მადანი მიდიოდა ვილჩელმის გერმანიაში.

ზემომოყვანილ ცხრილიდან ნათლად ვხედავთ, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა მადნის ამოღება. აშკარაა, ეს ზრდა საბადოს შესწავლისა და სამუშაოთა მექანიზაციის შედეგია. მაგრამ, ცხადია, ამით არა დააკმაყოფილდეთ; პირიქით, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მადნის ამოღება და საერთოდ საბადოს რაციონალური ექსპლუატაცია.

**ქიათურის შავი ქვის სამრეწველო რაიონში წარმოებული
ტოპოგეოდეზიურ მარკშეიდერული სამუშაოები**


1927 წლამდე ქიათურის შავი ქვის რაიონისათვის ერთ მთლიან სისტემაზე აგებული ტრიანგულაცია არ იყო. მარკშეიდერი გეგმას აღგენდა ცალკეული უბნებისათვის და ასეთ გეგმებს ურთიერთშორის არავითარი კავშირი არ ჰქონდა. სამთო გამონამუშევრების აგეგმვა იყო მარტივი და უმთავრესად წარმოებდა ჩამოსაკიდებელი ყიბლანის საშუალებით. 1927 წელს ოლქის მარკშეი-



ქიათურა. შაუმიანის ქუჩის მიდამოები.


დერმა ინჟინერ ხითარიანმა გაზომა ბაზისი და ააგო ტრიანგულაციის ქსელი. კოორდინატა სათავედ მან მიიღო ადგილობრივი პუნქტი „სარყე ხე“ და ამიტომ ასეთ სისტემას ეწოდა ადგილობრივი. შემდეგში ეს ადგილობრივი სისტემა გათვლილ-გამოანგარიშებულია ჰაუს-კრიუგერის სისტემაში. ძველად შედგენილი გეგმების ერთი ნაწილი მცდარი აღმოჩნდა.

1937 წლის მისიში დადებული იქნა ხელშეკრულება ქიათურის შავი ქვის ტრესტსა და საქართველოს მიწსახკომს შორის ქიათურის სამრეწველო ში ახალი ტრიანგულაციის ჩატარების შესახებ, რის საფუძველზე 1937 წლის ზაფხულს საქართველოს მიწსახკომმა გამოგზავნა ტრიანგულატორთა პარტია ინჟინერ-გეოდეზისტ ნიკოლოზ ბახტაძის უფროსობით. აღნიშნულმა პარტიამ ინჟინერ-გეოდეზისტი სოკოლოვსკაიას მონაწილეობით სარეკის მიდამოებში ზუსტი ხელსაწყო გელიომა-ედერინის საშუალებით გაზომა ბაზისი $\frac{1}{742091}$



ქიათურა. კინო-თეატრის მიდამო.

სიზუსტით. ამ ბაზისზე აგებულია ოთხკუთხედი, რომლის გამოსავალ გვერდზე გაშლილია ქიათურის შავი ქვის საბადოს ტრიანგულაციის ბადე სამკუთხედის



221-647

კუთხეები იზომებოდა გერლახის სისტემის 10¹/₆-იანი სიზუსტის თეოდოლიტით. გეოდეზიურ ოთხკუთხედში ჰორიზონტალური კუთხეები გაზომილია ცხრამეტიწუთით, მესამე კლასის პუნქტები—ექვსით, მეხუთე კლასის პუნქტები კი სამი ილეთით. ვერტიკალური კუთხეები აზომილია სამი ძაფის საშუალებით. ყველა ტრიანგონომეტრიული პუნქტი აღნიშნულია ბეტონის მონოლიტის ორმაგი ცენტრით. ქვედა ცენტრის სიმაღლე არის 0,2 მეტრი, ზედასი კი—0,7 მეტრი.

სულ მესამე კლასის პუნქტი აზომილია 17 და მეხუთე კლასის კი—14 პუნქტით. მთელი ეს სამუშაო გამოთვლილია ჰაუს-კრიუგერის სისტემაში. ახალმა ტრიანგულაციამ გამოავლინა მთელი რიგი შეცდომები ძველად წარმოებული მაღაროების აგეგმვაში (ამხანაგ კავანოვიჩის მაღაროების მე-IV უბანი) და მთლიანად შეიცვალა ამხანაგ ლენინის სახელობის მაღაროს დარბაიძეების უბნის გეგმა, ვინაიდან მასში აღმოჩენილი იქნა ტლანქი შეცდომა. გეოდეზიურ-სამარქ-შეიდერო მუშაობათა ზუსტად წარმოების მიზნით ჭიათურის შავი ქვის ტრესტის გეოლოგიურ-სამარქშეიდერო განყოფილებათა გვერდით ეზოში მოწყობილია საველე კომპორატორი იარაღი „რულეტების“ შემოწმებისათვის.

სამთო სამუშაოების თანდათანობითი განვითარებისა და გაფართოების გამო ახალი ტრიანგულაციის ქსელი მოითხოვს შესაბამის გაფართოებას, რისთვისაც მიზნად დასახული გვაქვს ჭიათურის საბადოს სხვადასხვა ზეგანზე მთელი რიგი წერტილები დავსვათ. შავი ქვის ტრესტის გეოლოგიურ-სამარქშეიდერო განყოფილებებმა მოახდინეს ძველ კოორდინატთა სისტემაში მოცემული შავი ქვის შრის საგები გვერდის რელიეფის რუკების გადაყვანა და შედგენა ახალ სისტემაში, ვინაიდან ძველი, ადგილობრივი სისტემა აღებული იყო სფეროზე.

დასახელებული რუკები შედგენილია ჰაუს-კრიუგერის სისტემაში და იგინი ახალი მარქშეიდერული წერტილების მონაცემების საფუძველზე შესწორებულია, მათზე დატანილია სამთო სამუშაოების მეოხებით აღმოჩენილი გეოლოგიური აშლილობანი და ყველა დღემდე ცნობილი სამთო გამონამუშევარი, დატოვებული მთელებისა და ფეხების ჩვენებით (ძველი სამარქშეიდერო გეგმებიდან).

ჭიათურის შავი ქვის საბადოს გეოლოგიური აგებულება

ჭიათურის საბადოს გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ პალეოზოური, ზედაცარცული და მესამეული სისტემის ქანები.

შავი ქვის საბადოს მიდამოებში ყველაზე უფრო ძველ ქანად მოვლინებულია პალეოზოური ასაკის მოწითალო ვარდისფერი კვარცხორფირი ტუფითა და ტუფობრეჭიით, რომლის ლითოლოგიური შემადგენლობა შედარებით რთულია და მისი გაშიშვლებანი გვხვდებიან მდინარე ყვირილის კალაპოტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (სადგურ ჭიათურასთან და მის ქვევით).

კვარცხორფირების მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ: კვარცი, მინდვრის შპატები (ალბიტოლიგოკლაზი, ალბიტი, ორთოკლაზი), იშვიათად ბიოტიტი, რქატყუარა, ძალიან ცოტაა ცირკონიუმი, აპატიტი, მუსკოვიტი, მაგნეტიტი, პირიტი და მეორადი კალციტი, კვარცი, სერიციტი და ქლორიტი. ამ კვარცხორფირებში უმთავრესად განვითარებულია შემდეგი სტრუქტურები: მიკროფელზიტური, მიკროპოიკილიტური და მიკროგრანიტული. შემადგენელი

ნაწილების წყობა დასახელებულ ქანში უმთავრესად არის ფლუვიდური, მასივური და ზოლისებრივი.

მეავე ეფუზივებს შორის ფართოდ არიან გავრცელებული ვულკანური ტუფები და ტუფობრეკიები, რომელნიც ნივთიერულ შემადგენლობათა მიხედვით თითქმის ერთგვაროვანი არიან. გეოლოგიური და მიკროსკოპული მონაცემების თვალსაზრისით ისინი ეკუთვნიან პორფირულ ტუფებს და ტუფობრეკიებს. ტექსტურულ და სტრუქტურულ ფარდობათა მიხედვით ეს ქანები ერთიმეორისაგან შესამჩნევად განსხვავდებიან.

ტუფობრეკიები ადგილ-ადგილ გადადის ლავაბრეკიებში. ლავაბრეკიები უმთავრესად შედგება კვარცპორფირების დამსხვრეულ-დალეწილ მასალისაგან და პეტროგრაფიულ ფარდობათა მიხედვით ძალზე მცირედ განსხვავდებიან კვარცპორფირებისაგან.

კვარცპორფირების ტუფების წყებაში გვხვდება პორფირული სახის ძარღვეული ქანები, რომელთაც აქვთ: მცირე სიმძლავრე, უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთ განვრცობა და 80° — 90° -მდე დაქანების კუთხე. გამოსავლებზე ეს ქანები ძალზე გამოფიტულ-დაშლილია. აღნიშნულ ქანებში მიკროსკოპულად კარგად ჩანს კაოლინიზებული მინდვრის შპატის მსხვილი ფენოკრისტალები, რომელნიც ჩაძირული არიან მოწითალო-იისფერ აფონიტურ მასაში. სტრუქტურული ნიშნები მინერალოგიურ შემადგენლობასთან ერთად საშუალებას გვაძლევს ეს ქანები მივაკუთნოთ ბაზალტურ პორფირიტებს.

ქიათურის საბადოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შიშვლდებიან კვარცპორფირების აბრადირებულ ზედაპირზე მდებარე იურული ქანები (კონგლომერატი და წითელი ფერის გამარმარილოებული კირქვები).

მიკროსკოპულ შესწავლათა საფუძველზე კონგლომერატის კენჭებში აღმოჩენილია კვარცპორფირების სხვადასხვა სახე და მათი ტუფები, გრანიტის ქანები, აპლიტი, კვარცოვან-ქარსიანი ფიქლები და სხვა.

გამარმარილოებული კირქვები მიკროსკოპული თვალსაზრისით ერთგვაროვანია, ხასიათდებიან მასივური სტრუქტურით და მათი მთავარი შემადგენელი ნაწილი არის კალციტი კირის ცემენტით და კვარცით.

ზედა ცარცული (ტურონ-სენონის) ღრმა ზღვის ნალექების კირქვების წყება იწყება ფუძის კონგლომერატით, ტრანსგრესულად არის განლაგებული მეავე ეფუზივების და იურულ ნალექების გადარეცხილ ზედაპირზე.

ზედა ცარცული კირქვების წყების სიმძლავრე აღემატება 300 მეტრს. მისი დათარიღება სტრატეგრაფიულ ჰორიზონტებზე შეუძლებელი ხდება, რადგანაც მათში არ არის ნახული დამახასიათებელი და კარგად დაცული ნამარხები; თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცუდად დაცულ ფორამინიფერების, ბელემნიტების და ინოცერამების ნამარხებს.

ზედა ცარცული კირქვებით არის აგებული მდინარე ყვირილას ხეობის ციკაბო კლდეები, რომელთა ფარდობითი სიმაღლე მდინარე ყვირილას დონესთან შეფარდებით აღემატება 200 მეტრს. ეს კირქვები თითქმის ჰორიზონტალურად მდებარეობენ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მდგომარეობას, რომ მათი განლაგების პირობები ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ოდნავად იცვლება და ქანების დაქანების კუთხე მატულობს 6° — 8° .

ზედაცარცული კირქვების წყების კრილში შეგვიძლია ლითოლოგურად გამოვყოთ კირქვების სამი სახესხვაობა, ანუ კატეგორია.

პირველ კატეგორიას ეკუთვნის მკვრივი, ღია, ხშირად თეთრი ან ვერცხლისფერი კირქვები.

მეორე კატეგორიას ეკუთვნის საშუალომარცვლოვანი აგებულების, შედარებით მაგარი მოთეთრო ფერის კირქვები.

დასასრულს, კირქვების მესამე კატეგორია ხასიათდება არათანაბარ-მარცვლოვანი აგებულებით, ფორიანობით და მურა-წითელი ან მურა-მოშაო ფერით.

ჩვენი რაიონის ზედაცარცული კირქვები უმთავრესად კრისტალური აგებულებისაა და მათი არსებითი შემადგენელი ნაწილი არის კრისტალური კალციტი კირის ცემენტით. ზოგჯერ ზედა-პორიზონტის კირქვების ქანშენები არიან ფორამინიფერები, რის მეოხებით აღნიშნული კირქვები იღებენ ორგანოგენურ სტრუქტურას. გარდა ამისა კირქვებში ვხვდებით: კაყის კონკრეციებს, კვარცის ნამტვრევებს, გაკვარცებულ უბნებს, თიხის მასალას, გლაუკონიტს, მუსკოვიტს, მინდვრის შპატების ნატლებს, მიკროფაუნის ჩონჩხებს კირისა და კაყის ცემენტით, ლიმონიტს, მანგანუმის ნივთიერების და რკინის ჰიდრატის ქანებს.

ზედაცარცულ კირქვებს ტრანსგრესიულად თავზე ადევს თხელი ზღვის მესამეული სისტემის, პალეოგენისა და მიოცენის ნალექები. ქიათურის შავი ქვის საბადოს დასავლეთ ნაწილში პალეოგენური ნალექები იწყება ოლიგოცენური სპონგოლიტებით ქვიშაქვით, რომელთა ფუძეში შავი ქვის შრეებია განლაგებული. შავი ქვის ფორმაციის თავზე მდებარე სპონგოლიტურ ქვიშაქვებს შორის ხშირად შუაშრისების ან ლინზების სახით მოთავსებულია ქარსიან-თიხა-კირიანი ქვიშაქვები. ქვიშაქვებში დამახასიათებელი ფაუნა არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ნალექების ქვედა ნაწილში მრავლად ვპოულობთ ღრუბლის კაყიან სპიკულებს.

ქვიშაქვების ფერი იცვლება ღია რუხიდან მოშაო რუხამდე; მათი შემადგენელი ნაწილებია: კვარცი, ოპალი, ქალცედონი, გლაუკონიტი, კაყის კონკრეციები; ღია ფერის ქარსი, ლიმონიტიზებული პირიტი, ლიმონიტი, მინდვრის შპატები (პლაგიოკლაზი, ორთოკლაზი, მიკროკლინი), რომელნიც ხშირად ძალზე არიან შეცვლილი და სერიციტიზაციის ნიშნებს ატარებენ, მანგანუმის ნივთიერება, ღრუბლის კაყიანი სპიკულები და ცემენტის სახით წარმოდგენილი თიხა, თიხა კირი, კირიანი ოპაკითა, და ამორფული კაყის ნივთიერება.

ქიათურის საბადოს რაიონის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებში შავი ქვის მატარებელი წყება პირველად იცვლება ღია ფერის კარბონატული მანგანუმის მადნით, შემდეგ—თიხით და თიხაქვიშაქვიანი ფენით, რომელთაც თევზის ქერცლის უამრავი აღნაბეჭდები აქვთ და ბოლოს სპონგოლიტური ქვიშაქვებით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით (მღვიმევი, ითხვისი) თიხის ფაცივის სისქე შესამჩნევად იზრდება. ოლიგოცენის დანალექის საერთო სიძლიავრე იცვლება ნულიდან (დასავლეთით) 115 მეტრამდე (აღმოსავლეთით).

მიოცენური ნალექების ტრანსგრესია იწყება ჩოკრაკის ფხვიერი ქვიშით, რომელიც ქვედა რვანის ზეგანის მიდამოების დასავლეთ ნაწილში (მაღარო № 2, ქაბურღილი № 7) უშუალოდ ძევს ზედა ცარცულ კირქვებზე, და საბადოს აღმოსავლეთ ნაწილში (ითხვისის ზეგანი) კი აღნიშნული ქვიშები განლაგებულია ოლიგოცენის ქვიშაქვებზე. ქიათურის საბადოს ზოგიერთ ზეგანზე (მაგ. შუქრეთი) ჩოკრაკი წარმოდგენილია 20—90-მეტრიანი სისქის ქვიშით. ჩოკრაკის ფხვიერი ქვიშებში ნამარხები არ არის ნახული და მათი (ქვიშების) ფერი იცვლება ღია ყვითლიდან თეთრამდე. მაკროსკოპულად ქვიშა წარმოდგენილია ტიპური

საშუალო და მსხვილმარცვლოვანი შედარებით კარგად გარეცხილი ქვიშით, რომლის შემადგენლობაში შედის: კვარცი, მინდვრის შპატები, ბიოტიტი, გლაუკონიტი, თიხისა და კირქვის მასალა, მუსკოვიტი, ვულკანური შინა, ანდეზიტის ნატეხები, პიროქსენი, რკინის ჰიდროქსიდები, ქლორიტი და სერიციტი მინდვრის შპატების ცვლილებათა ხარჯზე. პერევისისა და რგანის ზეგნებზე ჩოკრაკის ქვიშის სისქე შესამჩნევად კლებულობს და იცვლება კირქვების ფაცი-ესით (ზოგჯერ ეს ნალექები დიდი რაოდენობის ნამარხებს შეიცავს).

ჩოკრაკული ასაკის კირქვების სიმძლავრე ჭიათურის შავი ქვის საბადოს რაიონში არ აღემატება ორ-სამ მეტრს და მასში ვპოულობთ შემდეგ ნამარხებს:

Pecten Malvinae, *Cardium hispidiformi* Davit,

Cardium vindobonense, *Ostrea* Sp,

Bulla pella, *Arca pectinata* *Cerithium kattleya* Baily და სხვა.

ჩოკრაკის კირქვების ჰორიზონტი იწყება ნიქარული კირქვით, რომელიც უშუალოდ განლაგებულია ფხვიერ ქვიშაზე ან ქვიშიან თიხის ნალექებზე. ეს კირქვები ზევით თანდათანობით იცვლება პირველად კირიან ქვიშაქვებით, მიკრონამარხებიანი ქვიშაქვიანი თიხებით და შემდეგ კი ჭრელი ფერის თიხებით (პერევისაში და თიხვისში).

ჩოკრაკის კირქვის ფაციესის ქანები სტრუქტურულ ფარდობათა მიხედვით ურთიერთ შორის ძალიან განსხვავდებიან და მათი შემადგენელი ნაწილებია: კალციტი, ორგანული ნივთიერება (ნიქარები, მიკროფუნა), კვარცი, მინდვრის შპატები, პერტიტი, მუსკოვიტი, იშვიათად—ბიოტიტი, გლაუკონიტი და მადნეული მინერალები. ცემენტის როლს კალციტი და თიხოვანი ნივთიერება ასრულებს.

ჭრელი თიხები მოთავსებულია ჩოკრაკის ჰორიზონტის ზედა ნაწილში და წარმოადგენს ამავე ჰორიზონტის კირქვების სახურავს, რომელთა აღნაგობა უმთავრესად პელიტოვურია ან ალევრიტული; მათ აქვთ შემადგენელი ნაწილების შრეობრივი წყობა. ფერად-ფერადი თიხების შემადგენლობაში შედის: კალინი, კალციტი, რკინის ჰიდროქსიდები და კლასტიკური მასალიდან—კვარცი, მუსკოვიტი, გლაუკონიტი, სერიციტი, ოფალი და, მადნეულ მინერალებში, უმთავრესად—ლიმონიტი.

ჩოკრაკის წყების ქანებს თითქმის თარაზულად თავზე ადევს კარაგანის ჰორიზონტის სპანიოდონტელებიანი კირქვების წყება, რომელთა სიმძლავრე ირ-ხევა 20-დან 25 მეტრამდე და გვხვდება ჭიათურის საბადოს მარცხენა მხარეზე შემდეგი ნამარხებით:

Spaniodontella umbonata Andrus,


„ *pulchella* Baily

„ *Barboti Mohrensternia inflata* Andr. და სხვა.

ამ ჰორიზონტის ქანების ფერი იცვლება მოყვითალო რუხიდან თეთრამდე და მათ შემადგენლობაში გარდა კალციტის მასალით შეცემენტებული სპანიოდონტელური ფაუნისა შედის კვარცი, გლაუკონიტი, ორგანული ნივთიერება მიკროფაუნითურთ, თიხისა და კირის მასალა ცემენტის სახით, მინდვრის შპატე-

ბი. ბიოტიტი, გრანიტის ნატეხები, აპატიტი, ვნეისი, ცოტა ლიმონიტი და კაჟიანი ქანების ნამტვრევები.

ქიათურის საბადოს მარცხენა ნაწილში კარაგანის ჰორიზონტის ქანების თავზე განლაგებულია 6—7-მეტრიანი ფოლადური ფენი თიხიანი ქვიშაქვებითა



1 სურ.

გეოლოგიური ჭრილის ხე-
მა პერევისის რაიონში (ა.
ბ. ბეტებტინის მიხედვით).

1—კვარცხროფირები და იურული ასაკის (?) ტუფობრეგები; 2—გამარბალილითებული ხედა იურული (?) კირქვები; 3—ხედა ცარცული კირქვები; 4—ბაზალტი; 5—შავი ქვის მადნის წყება; 6—პალეოგენი (სონგოლიტური ქვიშაქვები და თიხები); 7—ჩოკრაკის ქვიშები; 8—ჩოკრაკის თიხები პეტუნებიან კირქვის შუაშრისით ფუტეში; 9—სანიაღონტელეიანი კირქვები; 10—ფოლადური ჰორიზონტი; 11—ქვიშაქვიანი-თიხიანი, თიხიანი კონკური და ქვედა სარმატის (?) ნალექები.

და თიხის თხელი შუა შრისებით, რომელთა ფერი იცვლება ღია რუხიდან მოშავო რუხამდე. დასახლებული ქანების შემადგენლობაში უმთავრესად შედის ფოლადური ნიჟარები კალციტით, კარბონატ-კირის ნივთიერება ცემენტის სახით, მიკროფაუნა, თიხისა და ქვიშაიანი თიხის მასალა, მინდვრის შპატები, კვარცი, მუსკოვიტი, გლაუკონიტი და, იშვიათად, ქლორიტი.

ფოლადური ჰორიზონტის ზევით მდებარეობს 60-მეტრიანი კონკური ჰორიზონტის თიხისა და კირიან-ქვიშაქვიანი თიხის ნალექები, რომელიც პეტროგრაფიულ ფარდობათა მიხედვით თითქმის ერთგვაროვანია, ახასიათებთ შრეობრიობა და აქვთ რუხი მოშავო ფერი. ტიპური კონკური ქვიშაქვიანი თიხები ძალიან პატარა ნამტვრევების სახით შეიცავს კვარცს, ზოგჯერ—მინდვრის შპატებს, მუსკოვიტს, გლაუკონიტს, კრისტალური კალციტის აგრეგატებით ჩანაცვლებული რელიქტური მოხაზულობის ფაუნას, და კაოლინში მინარევის სახით ვნახულობთ კარბონატებს. კონკური ჰორიზონტის ქანებში კლასტიური მასალის რაოდენობა საშუალოდ 15% უდრის, ხოლო დანარჩენი არის თიხის ნივთიერება რკინის ჰიდროქსიდებით.

საბადოს ფარგლებში სარმატული ნალექების სიმძლავრე არ აღემატება 60 მეტრს, ლითოლოგიურად იგი წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაიან თიხებით და თიხა ქვიშაქვებით. ამით მთავრდება დანალექი წარმოშობის მესამეული ასაკის ქანების აღმავალი ჭრილი.

ზემოთაღნიშნული მესამეული სისტემის ყველა დანალექი ქანი გაცვეთილია პლიოცენის ასაკის ოლიგენური ბაზალტის ამონთხეული ქანით, რომელიც მხოლოდ პერევისის ზეგანზე გვხვდება. ერთ შემთხვევაში ბაზალტი შავი ქვის წყების ქვეშ გვაძლევს აპოფიზის შრეს და მეორე შემთხვევაში კონკური ჰორიზონტის ქანებში გვაქვს ბაზალტის ტიპური ლაკოლითი, რომელიც უმთავრესად მკვრივია და აქვს რუხი მოშავო ან შავი ფერი. ბაზალტებში შეუიარაღებელ თვალთ შეიძლება შევამჩნიოთ მომწვანო ფერის ოლიგენის ფენოკრისტალები. მიკროსკოპულად ბაზალტებს აქვს მკაფიო პორფირული სახე და შეიცავს შემდეგ მინერალებს:

პიროქსენს, ოლივინს, ფუძის პლაგიოკლაზებს, მაგნეტიტის იდიომორფულ მარცვლებს და აპატიტს.

გარდა ზევით აღნიშნულ ქანებისა ქიათურის შავი ქვის საბადოს რაიონის საზღვრებში მცირე რაოდენობით გვხვდება მეოთხეული სისტემის თანადროული ნალექები. ამით რიცხვს პირველყოვლისა შეგვიძლია მივაკუთნოთ მდინარული ნალექების რიყე და ქვიშა, რომელიც საკმაო რაოდენობით გვხვდება მდინარე ყვირილის ხეობაში, მეტადრე იქ, სადაც მისი კალაპოტი ფართოვდება. მდინარე ყვირილის შედარებით ძველი ნალექი რიყე (ალუვიონი) მკაფიოდ ჩანს დარკვეთის გამამდიდრებელი მე-33 ფაბრიკის ახლოს. მეოთხეული სისტემის თანადროულ ნალექებს წარმოადგენენ დელუვიალური და ელუვიალური ნალექები.

ქიათურის რაიონის შენაჯამი სტრატოგრაფიული სვეტი

პ.წ. რიგი	სართულები და პორიზონტები	ფ ა ც ი ე ს ი ს და ხ ა ს ი ა თ ე ბ ა	სიმძლავრე მეტრებში
1	მეოთხეულის სისტემა	თანადროული ნალექები (ალუვიონი და დელუვიონი)	
2	პლიოცენი	ბაზალტების მაგმის ინტრუსია	
3	ქვედა სარმატი და კონკურსი პორიზონტი	თიხიანი და ქვიშაქვიანი-თიხიანი ნალექები	60
4	ფოლადურა პორიზონტი	თიხიანი ქვიშაქვები თიხის თხელი შუაშრისებით	5-7
5	ყარაჯანდუღი პორიზონტი	ნიკარული და ოლითური კირქვები ქვიშაქვის შუაშრისებით	20-25
6	ჩოკრაკი	ა) — კრელი თიხების ფაციესი ბ) — მეტატენიანი კირქვების ფაციესი გ) — ფხვიერი ქვიშების ფაციესი	6-30 1-2 20-90
7	ხარვეზი (დასვენება ანუ შეწყვეტა)	ჩოკრაკის ტრანსგრესია	
8	ქვედა ოლიგოცენი	ა) — სპონგოლითური კაჟიანი ქვიშაქვების ფაციესი ბ) — თიხების ფაციესი გ) მანგანუმის მატარებელი ნალექების ფაციესი	0-20 0-50-60 0-10-12
9	ხარვეზი	ოლიგოცენის ტრანსგრესია	
10	სენონი და ტურონი	ა) — ღია რუხი ტლანქშრებრივი კირქვები ბ) — მერგლებიანი კირქვების ფაციესი გ) — ღია რუხი ფერის კირქვები ბაზალტური კონგლომერატით	80-110 30-40 70-150
11	ხარვეზი	ტურონის ტრანსგრესია	

№ ბიულეტი	სართულები და ჰორიზონტები	ფ ა ც ე ს ი ს და ნ ა ს ი ა თ ე ბ ა	სიმქალაქის რეზონანსი
12	იურა	ტურონის ტრანსგრესიას გადარჩენილი გამარშალი-ლობებული წითელი კირქვები კონგლომერატებიანი ქვიშაქვებით ძირში	
13	ბარევიზი		
14	პოლეოზოი	ა) — კვარცპორფირები და ნათი ტუფები ბ) — ძირულის მასივის გრანიტები	

ტ ე ქ თ ა ნ ი კ ა

ჭიათურის შავი ქვის საბადოს ტექტონიკა შედარებით მარტივია, რის მე-ოხებით ნაღვეები თითქმის ჰორიზონტალურად არიან განლაგებული და მხოლოდ ზოგიერთ ადგილას (ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) ფენებს მკაფიოდ ემჩნევათ 5—10-გრადუსიანი დაქანება ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

გარდა შედარებით მცირე ტანგენსური აშლილობისა, ჭიათურაში ვამჩნევთ რადიალურს გადანაცვლებას, რომელიც მრავალი ნასხლეტის სახით არის წარმოდგენილი. ნასხლეტები უმთავრესად გავრცელებულია პერევისისა და რგანის ზეგნებზე. დასახელებულ ადგილებში ნასხლეტების — ლოკალიზაციის მიზეზი, ალბათ, ძირულის კრისტალური მასივია, რომელიც უთუოდ შესაფერის წინააღმდეგობას უწევდა ტანგენსურ წნევას, ამის შედეგად წარმოისახენ მთელი რიგი ნასხლეტები, რომელთა გახვრცილობა არის NW და NO.

შავი ქვის წყების გავრცელების ფართობი ჭიათურის საბადოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემოსაზღვრულია ე. წ. „მთავარი ნასხლეტით“, რომელიც მკაფიოდ ჩანს ქვედა რგანის ზეგანის შუა გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და პერევისის ზეგნის დასავლეთით, ყოფილ № 1 მაღაროს მიდამოების გადასავალის ძირში, საურმე გზის ქვევით. ამ შედარებით დიდ ჩოკრაკის წინანდროინდელ ნასხლეტს აქვს ჩრდილო-დასავლეთის 315° განვრცილობა, ჰვეთავს ზედა ცარცულ კირქვებს და შავი ქვის მადნის ჰორიზონტს სახურავი ქანებითურთ. დასახელებულ ნასხლეტს აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაქანება 73° კუთხით (პერევისის ზეგნის გადასავალთან) და მისი ამპლიტუდი აღწევს რამოდენიმე ათეულ მეტრს.

დანარჩენი ნასხლეტების ამპლიტუდი დიდი არ არის და ზოგჯერ აღწევს 10—13—18 მეტრს (თხილის წყალი), და ეს ხშირად ართულებს მადნის რაციონალური ექსპლუატაციის საქმეს.


შავი ქვის წყების განლაგება, აგებულება და მადნის გავრცელების საზღვრები













უნდა ითქვას, რომ ჭიათურის შავი ქვის მადნის ფენები თითქმის ჰორი-ზონტალურად არიან განლაგებული. ალაგ-ალაგ ვამჩნევთ პატარ-პატარა ნაო-


ԱՊՈՒՄՆԻՔ

Ձախի մոտ Կապալու
հիդրոլոգիական կայան

Վ.Վ. Գաբրիելյանի ձեռագիրը

Մասշտաբը

 0 500 1000 մ


- | | | | |
|--|---------------------|---|----------------------|
|  | Մաքուր ջրամբար |  | Մուխի մոտ գտնվող ձախ |
|  | Ձախ-պրոտոնային ձախ |  | Նախադեպոզիտային ձախ |
|  | Ձախ քարայրի մոտ |  | Պրոտոնային ձախի մոտ |
|  | Պրոտոնային ձախի մոտ |  | Ձախ կոնաքի մոտ |
|  | Պրոտոնային ձախ |  | Ձախ |
|  | Պրոտոնային ձախ |  | Ձախ |



მდინარე ყვითლის მარცხენა ნაპირის ქ რ ი დ ი




მდინარე ყვითლის მარცხენა ნაპირის ქ რ ი დ ი



ქობულთაის მარცხენი ნაპირის გეოლოგიური ქ რ ი დ ი

(კ. ბ. ბაბუნაშვილის მიხედვით)





4 სურ.

თაბაგრების ზეგანის შავი ქვის მადნის წყების მთლიანი კრილი.

- 1—ნიადაგი; 2—გამოფიტული ქვიშაქვა; 3—მჩატეფორებიანი მოშაფერის შავი ქვა; 4—ქვიშაქვის შუაფენი; 5—მჩატეფორებიანი მადანი; 6—ქვიშაქვა შავი ქვის მასალით; 7—მურაყვითელი ფერის შუაფენი; 8—სხვადასხვა სიდიდის მარცვლოვანი მადანა პლასტითა და ქვიშაქვით; 9—საშუალომარცვლოვანი ოლითური მადანი ნაწილობრივ ქვიშაქვის ცემენტითა და პლასტის ნატეხებით; 10—მსხვილ, საშუალო და წვრილმარცვლოვანი ოლითური შავი ფერის მადანი ფუჭი ქანის წვრილ ფენებით; 11—საცხრილე; 12—მსხვილმარცვლოვანი ოლითური მადანი ქვიშაქვის ცემენტით; 13—მურა-წითელი ფერის კონგლომერატი; 14—ფხვიერი მოთეთრო ფერის ქვიშა.

ქებს, რომელთა დაქანება ზოგ უბანში 6—11 გრადუსს უდრის. შავი ქვის მთელი წყება თავისი მნიშვნელობითა და განლაგების პირობებით შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად:

1. ქვედა ნაწილი, ე. ი. პროდუქციული შრე, რომლის ექსპლუატაცია წარმოებდა და დღესაც წარმოებს, მოთავსებულია 150—230 მეტრის სიმაღლეზე მდინარე ყვირილის დონედან და მას უაღრესად დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

2. ზედა ნაწილი, რომელიც განლაგებულია ე. წ. მურა-ყვითელი ქანის შუაშრისის ზევით, უმთავრესად წარმოდგენილია მჩატეფორებიანი და შავი ქვის თეთრი კარბონატული მადნების სახით.

ქიათურის შავი ქვის წყებაში შუაშრისთა რიცხვი საშუალოდ იცვლება 6—16-მდე, ხოლო ცალკეულ შუაშრისთა სიმძლავრე მერყეობს რამოდენიმე სანტიმეტრიდან 30—50 სანტიმეტრამდე, და სამრეწველო მადნის საერთო სიმძლავრე საშუალოდ 2—3 მეტრს უდრის, ზოგჯერ მეტსაც. შავი ქვის წყების როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილის შუაშრისები მორიგეობენ მეტად უმნიშვნელო სიმძლავრის ფუჭი ქანის შუაშრისებთან (ქვიშაქვებთან, თიხიან ქვიშაქვებთან და თიხის ფენებთან).

შავი ქვის გავრცელების საერთო ფართი 34 კვადრატულ კილომეტრს უდრის. მთელ ამ ფართზე მადნის გავრცელების საზღვრები (გამოსავლების სახით ბუნებრივი პირობების მეოხებით შედარებით კარგად არის გამოკვეთული, გარდა ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილებისა; ამის გამო მომავალში ამ ადგილებში მადნის გავრცელების საზღვრების შედარებით სრული გამორკვევისათვის საჭიროა ძიებითი ბურღვის წარმოება.

ქიათურის საბადოს მინერალოგია და შავი ქვის მადნის ტიპები

ქიათურის შავი ქვის მადნის წყებაში უმთავრესად მინერალთა ასოციაციის სამი ჯგუფი გვევლება:

1. მინერალთა ასოციაციის პირველი ჯგუფი წარმოშობილია (ანუ დალექილია) ნალექების წყლის აუზში ჩამოყალიბების მომენტში ანუ პირველად წარმოშობილი მინერალური მასალის დიაგენეზის პროცესში. ამ ჯგუფის პეგნიტოგე-

Fig. 1. Diagram of a normal fault.



Diagram illustrating a normal fault.

Fig. 2. Diagram of a thrust fault.




Diagram illustrating a thrust fault.

Fig. 3. Diagram of a strike-slip fault.



Diagram illustrating a strike-slip fault.

Fig. 4. Diagram of a normal fault with a tilted fault plane.




Diagram illustrating a normal fault with a tilted fault plane.

Fig. 5. Diagram of a thrust fault with a tilted fault plane.



Diagram illustrating a thrust fault with a tilted fault plane.

-  HANGING WALL
-  FOOTWALL
-  STRIKE-SLIP FAULT
-  NORMAL FAULT
-  THRUST FAULT
-  FAULT LINE
-  FAULT ZONE

ნური და ბიოგენური მინერალები — ან: ფსილომელანი, პიროლუზიტი, მურა და შავი ფერის მანგანიტი, ჰემატიტი, ფოსფორიტი, ნახშიროვანი ნივთიერება, გლაუკონიტი, ბარიტი, კალციტისა და მანგანუმის კარბონატები, ოპალი და კაოლინი. ამავე ჯგუფში კლასტური მასალის სახით გვხვდება: კვარცი, მინდვრის შპატები, მუსკოვიტი, ბიოტიტი, აპატიტი, ცირკონიუმი, რუტილი, ოპალი და ქალკედონი (ღრუბლის სპიკულების ნამტკრვევებში) და ორგანული ნივთიერება (მერქანი, გირჩა, ვიგენისნაირის კბილები და ხერხემლიანი თევზის ჩონჩხები).

2. მინერალთა ასოციაციის მეორე ჯგუფი წარმოიშვა ბაზალტების მაგმის მადნის წყებაზე კონტაქტური ზეგავლენით და აგრეთვე ჰიდროთერმული პროცესების მოქმედების შედეგად. ამ პროცესებს ერუფციის შედეგად საკმაოდ დიდი გავრცელება ჰქონდა ქიათურის საბადოს რაიონში საერთოდ და პერევისის ზეგანზე განსაკუთრებით. ამ ჯგუფის მთავარი მინერალებია: შედარებით უწყლო ფსილომელანი, ჰაუსმანიტი, ბრაუნიტი, იშვიათად ალაბანდინი და მარკაზიტი, გრანატები, პეროქსენები, ეპიდოტი, გრაფიტი, კალციტი, მანგანო-კალციტი, როდოქროზიტი, ცეოლითები, ვულკანური მინა, პირიტი და ოპალი.

3. მინერალების მესამე ჯგუფის წარმოქმნა ხდებოდა შავი ქვის შრეთა გამოფიტვის ხარჯზე. ამ ჯგუფში გაბატონებულია „მანგანუმის მეორადი ქანგები“, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ფსილომელანს, რომლის წარმოშობის წყაროდ ჩაითვლება პირველადი წარმოშობის შავი ქვის სხვადასხვა წინე-რალი და მათ რიცხვში პირველადი ფსილომელანი. კარბონატული შავი ქვის მადნები გამოფიტვის შედეგად იძლევა მოწითალო და ზოგჯერ მოშოო ფერის „შატეფორებიან მადანს“, რომელშიაც მანგანუმი ზეჟანგის სახითაა. გვხვდება პიროლუზიტი, ჰიდროპიროლუზიტი, რკინიანი ფსილომელანი, ლიმონიტი და კალციუმის კარბონატები.

პირველი ჯგუფის მინერალთა განხილვის დროს ადვილია იმის დადგენა, რომ ერთი ნაწილი კლასტური მასალისა მოვლინებულია ძირულის კრისტალური მასივის დაშლის შედეგად და მეორე ნაწილი დასახელებული მასალისა წარმოადგენილია ორგანულ წარმოშობათა ნავთიერებით.

ქიათურის შავი ქვის მინერალთა აგებულება უმთავრესად მარცვლოვან-ოლითურია (მაკრო ან მიკრო), რომელნიც ურთიერთ შორის შეცემენტებული არიან მანგანუმის ან ქვიშაქვისა და თიხის ნივთიერებით, ცალკეულ ოლითების აღნაგობა კონცენტრულ-ზონურია და მათი კვეთის ზომა საშუალოდ 0,5 მილიმეტრიდან 5 მილიმეტრამდე ქანაობს.

ქიმიურ შეფარდებათა მიხედვით მადანთა შორის ასხვავებენ „პეროქსიდულ მადანს“, რომელშიაც მანგანუმის ორჟანგი (MnO_2) 80%-ზე მეტია და „მეტალურგიულ მადანს“, რომელიც MnO_2 -ს აღნიშნულ ციფრზე ნაკლებს შეიცავს.

შავი ქვის მადანს ახასიათებს მკაფიო სხვადასხვაობა, როგორც ფიზიკური თვისებებისა მიხედვით, ისე შემადგენელი ნაწილების წყობითა და თავისებურებით. მადნის თვისებათა შესწავლის დროს თვალსაჩინო ხდება მათი სიმავრის მკვეთრი ცვალებადობა ერთიდან ექვსნახევრამდე.

შავი ქვის მადნის ტიპები

1. მარცვლოვანი ოოლითური მადანი. აღნიშნული სახის მადანი შედგება სხვადასხვა ზომის მქონე ოოლითური მანგანუმის ნივთიერებათა გროვების საფუძველზე; ოოლითების დიამეტრი იცვლება 0,5-დან 5 მილიმეტრამდე და ურთიერთ შორის შეკემენტებული არიან მანგანუმის, ქვიშაქვის ან თიხის მასალით. მანგანუმით შეკავშირებული მარცვალ-ოოლითები შავს ან მოშაო ფერს იკრავს; ქვიშაქვის ცემენტი მადანს აძლევს მურა მორუსო ფერს. ხშირად შავი ქვის მადნის მარცვალ-ოოლითებს აკავშირებს თიხა-კირიანი ქვიშაქვა. ზემოხსენებული ცემენტის კომბინირების საფუძველზე ვლებულობთ მადნის სახესხვაობას.

მარცვლოვან-ოოლითური მადნების ქიმიური შემადგენლობა

ნ ცხრილი.

№ რიგ.	მადნების სახესხვაობა	შემცველობა პროცენტებში			
		Mn	MnO ₂	SiO ₂	P
1	წვრალმარცვლოვანი	47,41	74,44	12,62	0,264
2	საშუალომარცვლოვანი . .	49,48	78,09	10,54	0,219
3	მსხვილმარცვლოვანი	44,00	69,50	16,67	0,282

შავი ქვის მარცვლოვანოოლითური მადანი ძალიან კარგად ირეცხება გამამდიდრებელ ფაბრიკაში, წარმოადგენს ქიათურის სამთომადნო მრეწველობის მთავარ სასაქონლო პროდუქციას და მეტნაკლებადაა გავრცელებული ქიათურის საბადოს ცალკეულ ზეგნებზე.

ასეთი მადნების მოცულობითი წონა იცვლება 1,90-დან 4,19-მდე და ამ მადნებში წყლის შემცველობა მერყეობს 3,20%-დან 19%-მდე.

2. „ქ ლ ა ლ ი“-ს სახელწოდებით ქიათურაში ცნობილია მარცვლოვან-ოოლითური შავი ქვის მადანი ხშირად „პლასტი“-ს ნატეხებით, რომელიც ცემენტის სახით დიდი რაოდენობის ქვიშა ქვას შეიცავს და მოთავსებულია უმთავრესად პროდუქტული მადნის ზედა ნაწილში, აქვს ქლალი ფერი (საიდანაც წარმომდგარია მადნის სახელწოდება).

ქიმიური შემადგენლობა

Mn = 30,43—37,5%; MnO₂ = 28,66%; SiO₂ = 13,63%; P = 0,195%;

Fe = 1,83—2,4%; CaO = 10,64%.

ხშირად ლითონ მანგანუმის შემცაობა ქლალში იცვლება 18—34%-მდე და SiO₂ აღწევს 30%-ს.

მანგანუმის მადნის ეს სახესხვაობა უმთავრესად განვითარებულია პერევისისა და შუქრუთის ზეგნებზე. ძველად „ქლალი“ მიჩნეული იყო არაპრაქ-

ტიკული მნიშვნელობის მანგანუმის მადნის სახესხვაობად და მთლიანად გამოწმენ-
შევრების სახურავ გვერდში რჩებოდა.

ქიათურის შავი ქვის ტრესტის გეოლოგიურმა მომსახურებამ და მთლიანად გამოწმენ-
დან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „უღალი“-ს ექსპლუატაციის საკითხს,
სათანადოდ შეისწავლა „უღალი“-ს გეოლოგიურ-ქიმიური შინაარსი, რის საფუ-
ძველზე მოუპოვა მას სამრეწველო მადნის ღირსება და 1937 წლის აპრილიდან
(გამონაკლის შემთხვევების გარდა) სხვა პრაქტიკული მნიშვნელობის მადნებთან
ერთად დაწყებულია „უღალი“-ს რაციონალური ექსპლუატაცია (გამოღება). ასე-
თი მადნების მოცულობითი წონა საშუალოდ მერყეობს 1,88-დან 2,60-მდე და
ამ მადანში წყლის შემცველობა ირხევა 5⁰/₀-დან 12,5⁰/₀-მდე.

3. მარცვლოვან-ნატეხოვანი მადანი „საცხრილე“. მარ-
ცვლოვან-ოლითურ მადანს, ქვიშაქვით, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს
„პლასტი“-ს სხვადასხვა ზომის კუთხოვან ნატეხებს „საცხრილე“ ეწოდება. მად-
ნის სახელწოდება „საცხრილე“ წარმოშობილია სიტყვა ცხრილიდან. საქმე
ისაა, რომ ძველად კარგი სასაქონლო შავი ქვის მიღების მიზნით მადნის ამ
სახესხვაობას ცხრილში ატარებდნენ. გაცხრილვის შემდეგ ცხრილში დარჩენილი
მადანი სამრეწველო მნიშვნელობის ხასიათს იღებდა, და რასაც ცხრილი ატა-
რებდა — „ნაცხრილის“ სახელწოდებით უვარგის მადნად იყო მიჩნეული.

მადან საცხრილეს გავრცელების მხრივ ქიათურის შავი ქვის საბადოს
ფარგლებში მეორე ადგილი უჭირავს და კარგი სამრეწველო მნიშვნელობის
მადანია.

წინათ ეს უაღრესად კარგი ხარისხის მადანი (საცხრილე) ამხანაგ
სტალინისა და ამხანაგ ლენინის სახელობის მალაროვში გამონამუ-
შევრების საგებ გვერდში მთლიანად რჩებოდა და იკარგებოდა. ამ გარემოებას
ავტორმა ყურადღება მიაქცია და 1937--38 წლებიდან მისი მითითებით დაწყ-
ებულია ამ მადნის რაციონალური ექსპლუატაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ მადნის წყების ეს ჰორი-
ზონტი ზოგიერთ ადგილას (პერევისის მეოთხე, მეორე, მესამე უბნებში და ზოგ
ადგილას შუქრუთში) საკმაო რაოდენობის წყალს შეიცავს, რის გამო ზოგი-
ერთი მომუშავეს უწესო მუშაობის მეოხებით ხშირად ხდება შავი ქვის წყების ქვე-
და დასტის საგებ გვერდში დატოვება, რასაც სასტიკი კონტროლი უნდა გაე-
წიოს იმ თვალსაზრისით, რომ ეს მადანი მთლიანად იქნას ამოღებული.

ქიმიური შემადგენლობა

Mn=47,8⁰/₀; MnO₂=78⁰/₀; SiO₂=9,07⁰/₀; P=O,23⁰/₀.


საცხრილის მოცულობითი წონა მერყეობს 2,56-დან 3,23-მდე და ამ მა-
დანში წყლის შემცველობა იცვლება 4,56⁰/₀-დან 16,66⁰/₀-მდე.

4. „ბელტა“ (ადგილობრივი სახელი) წარმოადგენს პატარ-პატარა რბილ
ოლითებიან მასას, რომელიც დაცემენტებულია მანგანუმის მასალით და
ხშირად იღებს ფხენილის სახეს; საბადოში არსებობს, როგორც შავი ისე მურა
ფერის ბელტა. გავრცელების მხრივ ბელტას ქიათურის საბადოში მესამე ადგი-
ლი უჭირავს და იგი სხვადასხვა რაოდენობით გვხვდება თითქმის ყველა ზეგანზე.




ბელტა ძალიან რბილი მადანია და თუ იგი გამამდიდრებელ ფაბრიკაში მოხედა, გარეცხვის დროს, მთლიანად ლექში ან შლამში მიდის და იკარგება.

შავი ბელტა ქიათურაში „მანგანუმარცის“ სახელწოდებითაა ცნობილი და მისი მთავარი ქიმიური შემადგენლობა იძლევა შემდეგ სურათს:




მურა ბელტას მთავარი ქიმიური შემადგენლობა:



ბელტას მოცულობითი წონა ჩვენი სამთომადნო მრეწველობის ფარგლებში იცვლება 2,17-დან 2,65-მდე და ამ მადანში H_2O შემცველობა ქანაობს 14,0%-დან 23,5%-მდე.

5. „პლასტი“ (ადგილობრივი სახელი) მასიური, შედარებით მკვრივი, მოშაო ფერის, ხშირად ამორფული, — მადანია, რომელსაც ზოგჯერ ოლითური აღნაგობა აქვს და შედგება უმთავრესად პიროლოზიტისა და ფსელომელანისაგან. ქიმიური შემადგენლობა:



უნდა აღინიშნოს, რომ „პლასტი“ ყველაზე უკეთესი მადანია და იგი ყველა სხვა სახის მადანზე ნაკლებად შეიცავს მავნე მინარევ ფოსფორს. პლასტის მოცულობითი წონა მერყეობს 2,72-დან 3,90-მდე და მასში H_2O შემცველობა მერყეობს 2,85-დან 6,60-მდე.


6. ქიათურის შავი ქვის საბადოს მადნებს შორის აღსანიშნავია მეორადი წარმოშობის, მეტად კალციტიზებული და შედარებით მაგარი მადანი „მწვარი“. იგი გვხვდება უმთავრესად ნახსლეტების ზოლში და მოთავესებულია სამრეწველო მადნის ფუძეში, ცალკეული უბნების სახით.


ამ მადნის ქიმიური ანალიზები, წარმოებული ქიათურის ქიმიურ ლაბორატორიაში საშუალოდ შემდეგ ციფრებს იძლევა: $\text{Mn}=23-25\%; \text{MnO}_2=30-32\%; \text{SiO}_2=6,02-15\%; \text{P}=0,219\%; \text{CaO}=11-16\%.$

ზოგჯერ ლითონ მანგანუმის შემცველობა მადან „მწვარში“ 30-32%-ს და CaO -სი-კი ხშირად 25% აღწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ მწვარი მაგარია, ცუდი გარეცხვის თვისების მქონე და მას ახლა არ აქვს გამოყენება თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მდგომარეობას, რომ ზოგჯერ ლითონ მანგანუმით მდიდარი მწვარი პრაქტიკული მნიშვნელობის ხასიათს ღებულობს. იგი უმთავრესად გავრცელებულია პერევისისა და რგანის ზეგნებზე. მწვარის მოცულობითი წონა მერყეობს 2,08-დან 3,65-მდე და მასში H_2O შემცველობა 4,72%-დან 12,2%-მდე იცვლება.

7. საბადოში სავარძობი რაოდენობით გვხვდება „მატეფორებიანი მადანი“, რომლის სამრეწველო მნიშვნელობა უკვე აღიარებულია საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 9 დეკემბრის № 1392 დადგენილებით: განლაგებულია საკუთრივ სამუშაო ჰორიზონტის ზევით და აქვს შავი ან მურა-წითელი ფერი. თაბაგრების ზეგანის ასეთი მადნის ქიმიური ანალიზები იძლევა შემდეგ ციფრებს:





ეს მადანი წარმოშობილია კარბონატული მადნის დაქანვის შედეგად და უმთავრესად გავრცელებულია თაბაგრების, მღვიმევის, დარკვეთისა და სის ზეგნებზე.

ამ მადნების მოცულობითი წონა მერყეობს 1,21-დან 1,81-მდე და შეიცავს 16,46%-დან 20,59%-მდე წყალს.

8. თეთრი მანგანო-კალციტის მადანი (კარბონატული მადანი). ქიათურაში გარდა ჩვეულებრივი სამრეწველო მნიშვნელობის მადნებისა დიდად გავრცელებულია თეთრი ეგრეთწოდებული მანგანოკალციტების მადანი, რომელიც სათანადო ყურადღებისა და შესწავლის ღირსია, მეტადრე მათი გამოყენების თვალსაზრისით მეტალურგიულ მრეწველობაში. ეს მარცვლოვან-ოოლითებიანი თეთრი მადანი უმთავრესად გავრცელებულია ქიათურის საბადოს ზოგიერთი ზეგანის გარე უბნებში (კალაური, ითხვისი, დარკვეთი და მღვიმევი); დასახელებული მადანი შავი ქვის გამოსავლების ფარგლების შიგნით პირველად გეოლოგ ი. ი. ნაზაროვის მიერ 1934 წელში იყო აღმოჩენილი კაბურღვილების მეოხებით ითხვისის ზეგანზე. შემდეგ ასეთი მადანი ნახეს მღვიმევის, კალაურის და დარკვეთის კაბურღვილებში. ჯერ-ჯერობით ეს მადანი არ არის მთლიანად შესწავლილი და მოითხოვს ყოველ მხრივ დეტალურ შესწავლას. კაბურღვილებში თეთრი მადნის ჯამური სიმძლავრე ქანაობს 0,5-დან 1,75 მეტრამდე და შეიცავს 10-დან 28%-მდე მანგანუმს.

კაპიტალური სამთო სამუშევრების განვითარების პროცესში მანგანო-კალციტის თეთრი მარცვლოვან-ოოლითებიანი მადანი 1937 წლის პირველ ნახევარში აღმოვაჩინეთ მღვიმევის ზეგანის № 26 მაღაროში და ნასაკირევის უბნის მთელ რიგ გამოჩენილ მუშევრების სახურავ გვერდში, რომელიც გამოსავლებიდან დაცილებულია 90 მეტრით და აქვს საშუალოდ 0,6 მეტრი სიმძლავრე. როგორც ავლინუნეთ, თეთრი მადანი მოთავსებულია პროდუქტული მადნის, ჰორიზონტის ზევით და სავსებით შეესაბამება მჩატეფორებიანი მადნის, ჰორიზონტს, რომელიც უთუოდ მიღებულია მანგანო-კალციტის მადნის დაქანვის შედეგად, რაც ძალიან მკაფიოდ არის გამომკლავნებული ნასაკირევის მაღაროებში, სადაც მანგანო-კალციტის მადანი თანდათანობით გადადის მჩატეფორებიან მადანში.

ჩვენი თეთრი მადანი შავი ქვის სამუშაო ფენიდან გამოცალკევებულია მოწითალი ფერის ქვიშაქვის შუაშრისით, ან გლაუკონიტებიანი ქვიშაქვის წვრილ ფენით და ზოგჯერ ნასაკირევის მაღაროში უშუალოდ ძვეს პროდუქტული შავი ქვის მადანზე. საქმე ისაა, რომ ქიათურის აუზში ჩვენ გვაქვს შავი ქვის მადნების დალექის ორი ფაციესი, რაც ნიშნავს, რომ ქანგიანი მადნები ილექებოდა წყლის აუზის ფსკერის უფრო მაღალ ადგილებში, კონტინენტის ახლოს, სადაც თავისუფალი ქანგბადი იოლად აღწევდა, მაშინ, როდესაც თეთრი მადნები ილექებოდა გაცილებით უფრო ცოტაქანგბადიან და დიდი რაოდენობით გოგირდწყალბადის შემცავ დაბალ ადგილებში; ე. წ. ქანგბადის ჰორიზონტის ქვევით, თეთრი მადნების დაქანვის ხარისხი კარგად არის გამომკლავნებული სამთო-სამუშაოების შიგნით და დიდად არის დამოკიდებული იმაზედ, თუ რამდენად არის ის დაცილებული დედამიწის ქერქის ზედაპირს. თეთრი მადნების დაქან-

გვის შედეგად ვიღებთ შავ, ან ყავისფერ მჰატეფორებიან მადანს, რომელიც ლითონ მანგანუმს შეიცავს 26—37,1% და მანგანუმი მასში არის ზეჟანგის ფორმით. მანგანო-კალციტის მადნების ძლიერი დაჟანგვა მღვიმევის ზეგანის ზოგიერთ ნაწილში გამოწვეულია იმით, რომ ქანების ბზარების მეოხებით აქტიური ჟანგბადი აღვილად აღწევდა თეთრი მადნების ჰორიზონტამდე და ახდენდა მათ თანდათანობით დაჟანგვას. მღვიმევის ზეგანის რაიონში დაჟანგვის ზონის სიღრმე მერყეობს ძალიან მკაფიოდ (13 მეტრიდან 110 მეტრამდე) და უაღრესად დამოკიდებულია მადნის ზემო მდებარე ქანების სტრუქტურულ მდგომარეობაზე. მიკროსკოპულად თეთრი მადანი არათანაბარმარცვლოვანია, ხშირად აქვს მომწვანო ელფერი და მარცვლები ძირითადად განლაგებულია კირ-ჟეაოფლის ცემენტში, რომელიც მარილმჟავას მოქმედების დროს მკაფიოდ შიშინებს.

ლითონ მანგანუმის, ნიკელის ჟანგულის და სხვა იშვიათი ელემენტების საკმაო ოდენობა გვავალებს, რათა ეს მადნები დეტალურად იქნეს შესწავლილი საერთოდ და მეტადრე—ტექნოლოგიურ-მეტალურგიულ თვალსაზრისით.

მანგანო-კალციტის მადანი, როგორც წესი, შედარებით ნაკლებ ლითონ მანგანუმს შეიცავს და ამიტომ ის ამ ბოლო დრომდე გამოყენებული არ იყო წარმოებაში. ამ მადნებში ლითონ მანგანუმის შედარებით ცოტაოდენობითი შემცობა არ იძლევა იმის საბუთს, რომ ისინი მეტალურგიულ წარმოებაში არ იქნენ გამოყენებული რაციონალურად.

ასეთი თეთრი მადნების კომპლექსური შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იშვიათ ლითონებს.

კარბონატული მადნის ქიმიური ანალიზების საშუალო მონაცემები იძლევა შემდეგ ციფრებს: $Mn = 14 - 24 - 32\%$; $MnO_2 = 0,321 - 1,00 - 8,5\%$;

$SiO_2 = 1,35 - 2,17 - 6,27\%$; $P = 0,235\%$; $CaO = 11,90 - 29,90\%$.

ჭიათურის შავი ქვის საბადოს კარბონატული—მჰატეფორებიანი მადნების შესწავლისა, საერთოდ, და მათი იშვიათლითონიანობისა და სამრეწველო მნიშვნელობის გამოვლინების საქმეში ჭიათურის მალარობის გეოლოგიურ მომსახურებას უაღრესად დიდი მუშაობა აქვს შესრულებული, რის შედეგად ჩვენ საუცხოვო შედეგებს მივალწიეთ და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 9/XII—1939 წლის დადგენილებით ჭიათურის კარბონატული და მჰატეფორებიანი მადნების მრეწველობაში გამოყენების პრობლემა უკვე დადებითად გადაჭრილია და ეს მადნები აღიარებულია სამრეწველო მნიშვნელობის მადნებად, რომელთა მარაგი, უკანასკნელი გამოთვლის მიხედვით, C კატეგორიით რამოდენიმე ათი მილიონი ტონაა. ამ ღირსშესანიშნავი პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა კავშირის მეტალურგიის საქმეში და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საბადოს არსებულ სამრეწველო მნიშვნელობის შავი ქვის მარაგს კიდევ დამატება რამოდენიმე მილიონი ტონა სამრეწველო მნიშვნელობის მარაგი კარბონატული და მჰატეფორებიანი მადნების სახით.

9. დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ზემოთაღნიშნულ მადნების გარდა, ხშირად გვხვდება აგრეთვე მთელი რიგი ფუქი ქანის შუაშრისები, რომელნიც მეტნაკლებად არიან გაქლენთილი მანგანუმის ჰიდროქანგებით და ზოგჯერ 30—35%-მდე ლითონურ მანგანუმს იძლევიან.

ზოგადი მოხაზრება კიათურის შავი ქვის საბადოს გენეზისზე
(წარმოშობაზე)



კიათურის შავი ქვის საბადო ნალექ საბადოების კლასიკურ ტიპს წარმოადგენს, ეს საბადო უთუოდ წარმოიქმნა პატარა სიღრმისა და ცოტა მარილების შემცველ წყლის აუზში, სუბტროპიკული ჰავის გარემოში. წყლის აუზი, რომელშიდაც ხდებოდა შავი ქვის მადნის დალექვა წარმოადგენდა ღია ზღვას ან შედარებით დიდი განის მქონე ზღვის უბეს, რომლის სამხრეთ ფერდობის გარკვეულ ზონაში წარმოებდა მანგანუმის ნივთიერებათა დალექვა. ფაქტობრივ მასალის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ კიათურის შავი ქვის საბადო წარმოშობილია ძირულის კრისტალური მასივისა და მის ახლო მდებარე იურული ვულკანოგენური ქანების დაშლისა და გახსნის ხარჯზე, რომელნიც საკმაო რაოდენობით შეიცავდნენ მანგანუმს და პალეოგენის დროს ხმელეთს წარმოადგენდნენ.

მანგანუმის შენაერთების გამოყოფა უთუოდ კოლოიდური ხსნარების კოაგულაციის მეშვეობით ხდებოდა ოლითური ნივთიერების წარმოქმნით და, უნდა ვიფიქროთ, რომ კოლოიდური ხსნარების წარმოშობაში მონაწილეობას იღებდნენ განსაკუთრებული სახის მიკრობაქტერიები, რომლებიც პალეოგენური ზღვის დროს, ალბათ, საკმაო რაოდენობით იყვნენ გავრცელებული.

ჰიათურის შავი ქვის საბადოს ცალკეული მაღაროების
(ზეგნების) გეოსამთრბამიკური პირობების მოკლე
დახასიათება

საერთო ნაწილი

აქამდე ჩვენ ვიხილავდით კიათურის შავი ქვის საბადოს გეოლოგიურ აგებულებას საერთოდ და შავი ქვის წყების აღნაგობა-განლაგების პირობებს განსაკუთრებით.

ამ ნაწილში ჩვენი მიზანია მოკლედ დავახასიათოთ კიათურის შავი ქვის საბადოს ცალკეული მაღაროების (ზეგნების) გეოლოგიური აგებულება, შავი ქვის წყება და ზოგიერთი პრაქტიკული მნიშვნელობის სამთო ტექნიკური პირობები, ვინაიდან უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მაღაროების რაციონალურ ექსპლუატაციის საქმეში.

კიათურის სამთომადნო მრეწველობის მიდამოების რელიეფი საშვალეობას გვაძლევს საბადო ცალკე შტოლნებით გადავხსნათ. შტრეკების გაყვანილ დასამუშავებელი ფართი იჭრება გრძელ ბოძებად—სვეტებად. გამოსაღებ—მომზადებული სვეტების სიგრძე აღწევს 150 მეტრიდან 200 მეტრამდე და სიგანე (წმენდითი სანგრევის სიგრძე) 20—30 მეტრამდე.

ერთდროულად ხდება 2—3—4 სვეტის ამოღება 15—20 მეტრით ერთიმეორის გასწრებით. ქერის მართვა ხდება მთლიანი ჩამოქცევით.


სამუშაო სივრცე (მანძილი ლავის სანგრევიდან ჩამოქცევამდე) აღწევს 6—10 მეტრს, ჩამოქცევის ბიჯი იცვლება 2 მეტრიდან 3 მეტრამდე.

ქიათურის მალაროებში მთელი წარმოების მასშტაბით მადნის მონგრევას აწარმოებენ შემდეგი ხერხებით:

6 ცხრილი.

მონგრევის ხერხი %/ო-ში		
აფეთქებით	მომწვრევი პნევმატური ჩაქუშებით	ხელით
92,00	5,00	3,00

წმენდითი სანგრევებში—ლავებში მონგრეული მადნის 20% იტვირთება სკრებერით, დანარჩენი კი ხელით ვაგონების პირდაპირ ლავებში შეყვანის სახით.



ქიათურა. რგანის საჰაერო-საბაგრო გზის გადამტვირთი სადგურის ბუნკერები.

მადნის 70% -ზე მეტი მთავარ საზიდებამდე იზიდება ელექტრომავლებით და სვეტიანი ჯალამბრებით, დანარჩენი ცხენით. მადნის ზიდვა მთავრი საზიდებიდან ესტოკადებამდე მთლიანად მექანიზებულია: ელექტრომავლებით — 68% და უსასრულო ბაგირებით — 32%. მალაროების უმეტესი ნაწილი ნიავედება ხე-



ლოვნურად და მცირე ნაწილი კი ბუნებრივად. გამონამუშევრებიდან წყალი გამოიყავთ სპეციალურად გაყვანილი თხრილებით და თუ გამონამუშევრები რებს პირუკუ დაქანება აქვს, მაშინ მალაროდან წყლის გამოყვანა ტუმბოების საშუალებით ხდება.

მადნის ნედლეულის გამოზიდვა ცალკეული მალაროების ესტოკადებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკების ბუნკერებამდე სწარმოებს საპაერო ბაგირებით, ბრემსბერგებით და წყლის შემწვობით მიწა-კლდეში გაყვანილ თხრილებით, ან ხის ლარებით.

მადნის დამსხვრევა გამამდიდრების მიზნით წარმოებს ორჯერ ან სამჯერ, სანამ დამსხვრეული ნაწილაკების ზომა არ იქნება < 40 მმ. შემდეგ ხდება < 40 მმ. ზომის მასალის დაყოფა ცალკეულ კლასებად: 2 მმ, 2—4 მმ, 4—6 მმ, 6—10 მმ, 10—15 მმ, 15—25 მმ და 25—40 მმ. ცალკეულ კლასებად დაჯგუფებული მასალა გადადის სალექ მანქანებში ანუ ყუთებში, რომლებიც მუშაობენ მადანის და ფუჭი ქანის კუთრი წონის სხვადასხვაობის პრინციპის საფუძველზე.

გამამდიდრების შემდეგ სალექ მანქანებიდან ვიღებთ ორ პროდუქტს: კონცენტრატს ანუ სასარგებლო ნაწილს და შედარებით მდიდარ კულდებს, რომელთაც, სამწუხაროდ, ამჟამად ძალიან მცირე გამოყენება აქვთ.


კონცენტრატი, როგორც მზა სასაქონლო პროდუქტი, გროვდება ბუნკერებში და ჭიათურიდან რკინის გზით ეგზავნებათ მომხმარებლებს.

მადანში ლითონური მანგანუმის შემცველობისა და ნედლი მადნის სხვა ფიზიკურ თვისებებზეა სხვაობის მიხედვით კონცენტრატებსაც სხვადასხვა ხარისხისას ვიღებთ.

ჭიათურის მადანში Mn, SiO₂, P და ტენიანობის სხვადასხვა შემცველობის მიხედვით მივიღებთ შემდეგი სახის (იხ. № 7 ცხრილი) სასაქონლო პროდუქციას:

7 ცხრილი.

სასაქონლო პროდუქციის დასახლება	ხარისხი	სასაქონლო მადნის კონდიციური მაჩვენებლები პროცენტებში				შენიშვნა
		Mn	SiO ₂	P	ტენიანობა	
გარეცხილი მადანი	I	53	7,5	0,2	8	
	II	52—50	9,0	0,2	8	
	III	45	15,0	0,2	10	
	IV	35	25	0,2	18	
ჩვეულებრივი მადანი	I	45	15,0	0,2	12	
გარეცხილი პეროქსიდის მადანი	I	MnO ₂ 90	3,0	0,2	6	
	II	88—87	4,0	0,2	6	
	III	85	6,0	0,2	7	
	IV	80	7,0	0,2	9	



ქიათურა. მადნის გამამდიდრებელი № 25 ის ფაბრიკა.

ქიათურის შავი ქვის ტრესტი აერთიანებს შემდეგ მალაროთა სამმართველოებს თავისი გამამდიდრებელ ფაბრიკებით:

1. ამხანაგ სტალინის სახელობის მალარო № 24/25.
(პერევისის ზეგანი);

1:100000
1950



ქიზთუროს

შავი ქვის საბაღოს გეგმა

ზერიზიტი ნიშანები

- | | |
|---|--|
|  მთიანეთი |  ავტობუსი |
|  მთიანეთის მთიანეთის მთიანეთი |  საბავშვო |
|  მთიანეთის მთიანეთის მთიანეთი |  სასაბავშვო |

2. ამხანაგ ლენინის სახელობის მაღარო № 29/30
(შუქრუთის ზეგანი);
3. ამხანაგ დიმიტროვის სახელობის მაღარო № 32/33
(ითხვისის, კალაურის და დარკვეთის ზეგნები);
4. ამხანაგ კავანოვიჩის სახელობის მაღარო № 26/27/36
(მღვიმევის ზეგანი);
5. ამხანაგ ორჯონიკიძის სახელობის მაღარო № 4/18
(თაბაგრებისა და ზედა რჯანის ზეგნები);
6. ამხანაგ ბერიას სახელობის მაღარო № 5/11
(რჯანის ზეგანი);
7. ამხანაგ ვოროშილოვის სახელობის მაღარო № 2/3
(ქვედა რჯანის ზეგანი).

ცალკეული მაღაროების (ზეგნების) გეოსამოტექნიკურ დახასიათება იძლევა შემდეგ სურათს (იხ. 5 სურ.).

**1) ამხანაგ სტალინის სახელობის № 24/25 მაღარო
(პირველის ზეგანი)**

საერთო შენიშვნები

ამხანაგ სტალინის სახელობის მაღარო მდებარეობს ქიათურის შავი ქვის საბადოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი აღმოსავლეთით ესაზღვრება შუქრუთის ზეგანს, ქალაქ ქიათურიდან დაცილებულია 2,6 კილომეტრით და უკანასკნელს უკავშირდება საავტომობილო გზატკეცილით.

პერევისის ზეგანის ფართობი უდრის 3,0 კვადრატულ კილომეტრს და წარმოადგენს შედარებით ვაკე ცოტატყიან ზეგანს, რომლის შედარებით მაღალი წერტილის აბსოლუტური სიმაღლე შავი ზღვის დონესთან შეფარდებით არის 774,5 მეტრი (პუნქტი პერევისა). შავი ქვის შრის გამოსავლის საშუალო ფარდობითი სიმაღლე ქალაქ ქიათურასთან შედარებით უდრის 250 მეტრს.

გეოლოგიური აგებულება

პერევისის ზეგანის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებს ზედა-ცარცული კირქვები და მესამეული ასაკის დანალექი ქანები. ამის გარდა დასახლებულ რაიონში განვითარებულა პლიოცენური ასაკის მაგმური ქანები და ზოგან გვხვდება მეოთხეული ნალექები.

ყველაზე ძველ ქანად პერევისის ზეგანზე წაროდგენილია კვარცპორფირების მასივის აბრადულ ზედაპირზე განლაგებული 250-მეტრიანი სიმძლავრის ზედაცარცული, უმთავრესად, თეთრი ფერის კირქვები.

ზედაცარცულ კირქვებს ტრანსგრესიულად თავზე ადევს ოლიგოცენის ნალექები, რომელთა საშუალო სიმძლავრე პერევისის რაიონში უდრის 30 მეტრს.

ოლიგოცენი იწყება თითქმის უშუალოდ ზედაცარცულ კირქვებზე განლაგებული შავი ქვის მადნის წყებით. ლითოლოგიურად ოლიგოცენი წარმოდგენილია ღია-რუხი ან მურა-ფერის კაჟიანი სპონგოლითური ქვიშაქვებით, რო-

მელშიაც საკმაო რაოდენობით გვხვდება ქარსშემცველი კირიან-თიხიანი ქვიშა-
ქვების შუაშრისები.

მიოცენის ნალექები ოლიგოცენზე განლაგებულია უთანხმოდ და წარმოადგენს გენილია ჩოკრაკით, კარაგანით, ფოლადური ფენით და კონკური ჰორიზონტით. ჩოკრაკის ნალექები წარმოდგენილია ღია ფერის ფხვიერი ქვიშით, ქვიშაქვით, კირქვითა და თიხებით. ჩოკრაკის ნალექების მთლიანი სისქე მერყეობს 41 მეტრიდან 75 მეტრამდე.

ჩოკრაკის ქრელი თიხების თავზე განლაგებულია კარაგანის ჰორიზონტის სპანიოდონტელებიანი კარბონატული ქანები, რომელთა სიმძლავრე მერყეობს 17 მეტრიდან 30 მეტრამდე. სპანიოდონტელებიანი ნალექები იწყება წვრილ-მარცვლოვანი თიხა-კირიან რუხი ფერის ქვიშაქვებით (ზოგან მომწვანო ელ-ფერით).

აღნიშნული ქანების ზევით მდებარეობს თიხა-კირიან ქვიშაქვები, კვარც-ქვიშაქვიანი კირქვები, ნიფარებიანი კირქვები, საშუალო და წვრილმარცვლოვანი, ხშირად მსხვილმარცვლოვანი კვარც-კირიანი ქვიშაქვების შუაშრისებით. კარაგანის ნალექების თავზე მოთავსებულია ფოლადური ფენი, რომლის სისქე ცვა-ლებადობს 5,30 მეტრიდან 7,45 მეტრამდე და წარმოდგენილია წვრილმარცვ-ლოვანი თიხა-კირიან ქვიშაქვებით.

ფოლადურ ჰორიზონტს თავზე ადევს კონკური ასაკის ქვიშაქვიან-კირიანი თიხები და თიხები, რომელთა სისქე მერყეობს 35 მეტრიდან 40 მეტრამდე. ამით თავდება პერევისის ზეგანის აღმავალი გეოლოგიური ქრელი.


პერევისის ზეგანზე, როგორც უკვე ზევით იყო ნათქვამი გავრცელებულია პლიოცენის ასაკის ვულკანური ქანები ოლეფინური ბაზალტების სახით.

მათი გამოსაღები უმთავრესად გვხვდება ზეგანის ჩრდილო ნაწილში, № 25 მალაროს მიდამოებში და ამავე რაიონის სამხრეთ ნაწილში ვაკე მაღლობის სახით, რომელზედაც მოთავსებულია პერევისის ტბა. აღნიშნული ბაზალტების ურთიერთ კავშირი ჯერ დაუდგენელია. ბაზალტების ამონთხევის ყელი უთუოდ მდებარეობს №№ 8, 18, 19 და 24 ჰაბურღვილებს შორის. ბაზალტების სხეულს მერიდიანული მიმართულებით აწევა ემჩნევა სამხრეთისაკენ. ბაზალტების ეროფციის გამო შავი ქვის ფენების აშლილობა შედარებით კარგად არის გამოსახული ჰაბურღვილების მონაცემებით ინჟინერ-გეოლოგ გ. ავალიანის მიერ შედგენილ გეოლოგიურ პროფილებზე და შრეობრივ რუკაზე.

გარდა ზემოთდასახელებულ ქანებისა პერევისის ზეგანზე გვხვდება მეოთხეული სისტემის ნალექები. ამ რაიონის მეოთხეული ნალექები წარმოდგენილია ნაყარი თიხითა და დაშლილი ბაზალტების ნამსხვრევებით (ნატეხებით).

შავი ქვის გავრცელების ფართობი პერევისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემოზღუდულია მთავარი ნასხლექით, რომელიც გადის ამ ზეგანის საზღვრებიდან და გრძელდება რგანის მხარეზე.


გარდა მთავარი ნასხლექისა ამ რაიონში (მეტადრე—თხილის წყლის მალაროებში) ვნახულობთ მკაფიოდ გამოსახულ სხვადასხვა მხრისაკენ მიმართულ მთელ რიგ ნასხლექებსა და ზენასხლექებს, რომელნიც ძალიან უშლიან ხელს მადნის რაციონალური ექსპლუატაციის საქმეს.



6 სურ.

პერეცხას ზეგანის დამახასიათებელ ჰაბურღვილის გეოლოგიური კრილი.

- 1—ნიადაგი; 2—ჩოკრაკის ქვიშა; 3, 5—ოლიგოცენური სპონგოლითებიანი ქვიშაქვა; 4, 7—ბაზალტი; 6, 8—შავი ქვის მადნის წყება; 9—ზედაცარცული კირქვა.



7 სურ.

- 1—ნიადაგი; 2—კონკური პორიზონტის თიხები; 3—თიხიანი ქვიშაქვები; 4—კირიანი თიხა; 5—კარაგანდული პორიზონტის საპროდონტელეიანი კირქვები; 6—ჩოკრაკის კრული ფერის თიხები და თიხიანი ქვიშაქვები; 7—ჩოკრაკის პეტტენზიანი ნიჟარული კირქვები; 8—ჩოკრაკის ქვიშა; 9—ქვიშაქვა; 10—ქვედა ოლიგოცენის სპონგოლითური კაჟიანი ქვიშაქვა; 11—შავი ქვის მადნის წყება; 12—ზედა ცარცის კირქვა.

საყურადღებოა ის მდგომარეობა, რომ ბაზალტები ზოგ სანგრევეში მოათავსებულია დანალექ ქანთა ან შავი ქვის მადნის ფენთა შორის და ზოგან კი შედარებით დიდი უზნების სახით არის შემოჭრილი და აქეთ ზორცეების ხასიათი.

№	სიღრმე მ.	სტრატეგია	სტრატეგია	სტრატეგია	Mn	MgO	SiO ₂	P	Fe	CaO
1	1.00		1.00	44.46	41.02	14.72	0.153	1.22	1.00	
2	0.68		1.68	33.40	26.28	26.03	0.159	1.01	0.77	
3	0.20		1.88							
4	0.31		2.19	28.11	41.95	31.17	0.160	0.92	1.13	
5	0.07		2.26							
6	1.40		3.66	38.28	39.60	21.03	0.168	0.93	0.78	
7	0.68		4.34							
8	0.32		4.66	8.56	10.92	4.84	0.185	2.12	2.68	
9		საკვანძო								

8 სურ.

№ 1 უბანი, გამოწვეული № 56 პრიოდული შავი ქვის შრის ქროლი.

1—ქვადი; 2—მანგანუმის მეთრადი უანგები მურა ფერის მანგანუმითა და ქვიშაქვის შუაწრისებრითა და ქვიშაქვის ნატრებისებრითა და ქვიშაქვის უაწრისებრით; 3—მიმწვანო ფერის ქვიშაქვი; 4—საშუალომარცვლოვანი თოლითური მადანი კლასტის ნატრებისებრითა და ქვიშაქვის შუაწრისებრით; 5—შუადრებით მავარი მოყვითალო ფერის ქვიშაქვი; 6—მარცვლოვანი თოლითური მადანი ქვიშაქვის ცენტრში, ალაგ-ალაგ კლასტისა და ქვიშაქვის შუაწრისებრით; 7—ღია რუხი განწველებული ქვიშაქვი; 8—საცხრილი; 9—გამწვანებული მადნის კონტაქტი გორკვებთან.



პერევისის შავი ქვის წყება იყოფა ორ ნაწილად (ქვედა და ზედა). შავი ქვის წყების, როგორც ქვედა, ისე ზედა ნაწილში მდნის წვრილი ფენები მორიგეობენ ფუჭი ქანის შუაშრისებთან (ქვიშაქვებთან, თიხიან ქვიშაქვებთან, ქვიშიან თიხის ფიქლებთან და ზოგჯერ ნახშირის ნივთიერებასთან).

ამხანაგ სტალინის სახელობის მალაროს შავი ქვის სამუშაო შრის საგეზი გვერდის სიმაღლე შავი ზღვის დონესთან შეფარდებით მერყეობს 550.15 მეტრიდან 634.7 მეტრამდე და უმთავრესად აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთ დაქანება $0^{\circ}-6^{\circ}-8^{\circ}$ კუთხით.

შავი ქვის პროდუქციული ნაწილის წვრილ ფენთა რიცხვი მერყეობს 6-დან 18-მდე და ცალკეულ ფენთა სიმძლავრე ირხევა 0,1—0,3—0,4—0,5 მეტრამდე და ზოგჯერ აღწევს 1,00 მეტრს.

სამუშაო ჰორიზონტის მდნის შრის საშუალო სიმძლავრე 1939 წლის სამ. თო სამუშაოების მონაცემების მიხედვით ქანაობს 2,8 მეტრიდან 4,25 მეტრამდე (ხშირად—5 მეტრამდე) და მისი საშუალო სასარგებლო სიმძლავრე იცვლება 2,55 მეტრიდან 3,6 მეტრამდე.

ლითონური მანგანუმის საშუალო შემცველობა პროდუქციულ მადანში მერყეობს 26,99—42%⁰-მდე. სამუშაო ჰორიზონტის მადნები საშუალოდ შეიცავს 10%⁰ წყალს.

შავი ქვის წყების ზედა ნაწილი მკაფიოდ ჩანს გამოსავლებზე და ის განსხვავდება პროდუქციული მდნის ჰორიზონტისგან იმით, რომ აქ ჩვენ ვაქვს შავი ქვის წვრილ ფენთა მცირე რიცხვი და მათი ნაკლები ჯამური სიმძლავრე ლითონ მანგანუმის შედარებით ცოტა შემცველობით. შავი ქვის წყების ამ ნაწილში პირველადი ქანგები უმთავრესად გავრცელებულია პერევისის ზეგანის ჩრდილოეთით, რომელიც წარმოადგენილია ოლითური, ზოგჯერ ნატეხოვანი მადნების სახით და პროდუქციული მდნის ჰორიზონტიდან ხშირად გამოყოფილია 0,5 მეტრი სიმძლავრის კირიან-კაჟიანი ქვიშაქვის ფენით.

პერევისის ზეგანზე განვითარებულია მარცვლოვანოლითური მადნები, ქლალი, საცხრილე, ბელტა, პლასტი და დიდი რაოდენობით გვხვდება მწვარი. ჩამოთვლილ მდნის ტიპების მთავარი შემადგენელი ნაწილია: ფსილომელანი, პიროლუზიტი, მანგანიტი, ბრაუნიტი, პოლანიტი, ჰაუსმანიტი, იშვიათად ალაბანდინი და ზოგჯერ მანგანუმის კარბონატები (იხ. 8 სურ.).

მალაროს სამთო ტექნიკური პირობები

პერევისაში მუშავდება ერთი ჰორიზონტი ზოგ ადგილას ქვედა დასტის (საცხრილის) ჩათვლით. სამუშაო მდნით ჰორიზონტის სახურავ გვერდში მოთავსებულია სპონგოლითური კაჟიანი ქვიშაქვები და საგებ გვერდში უმთავრესად გვხვდება ზედა ცარცული კირქვები (ზოგან ქვიშის თხელი ფენი).

ამ მალაროს ზოგიერთ უბანში გეოლოგიური აშლილობა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს მდნის რაციონალური ექსპლუატაციის საქმეზე. ხშირად სამთო სამუშაოები ფუჭ ქანებში იჭრება, როგორც ეს მოხდა, მაგალი-



უ ბ ა ნ ი	სამუშაო პორბონტის შავი ქვის სიმძრებში			მოსამზადებელი სამუშაოები							გამარების სახე	მანილი ჩარჩებს შორის	დამუშავების სისტემა	წყნდითი სამუშაოები
	შრის სამუშაო მთლიანი სიმძლავრე	შრის სასარგებლო სამუშაო სიმძლავრე	ფუჰი ტანის ჩანართების ჯამური სიმძლავრე	შრის სასარგებლო სიმძლავრის შეფარდება შრის მთლიან სიმძლავრესთან	მადნის სეერთო კუთრი წონა საბადოში	შავი ქვის შრის I კვადრატ. მეტრის ნაყოფიერება ტონებში	განვიკვეთის ზომები მეტრებში		განვიკვეთის ზომები მეტრებში					
							გამარე-ბაში	გამარე-ბაში	მთავარი სახიდი მთლიანი სიგანე	სახიდი და საყენტილაკ. შტრეკ. სიგ.				
									გამარე-ბაში	გამარე-ბაში				
I	4.25	3.6	0.65	84.7	2.82	10.15	3.5	3.04	3.0	2.30	არასრული ჩარჩო ცალი გვერდით და სახურავის ამოკვეთით	0.70		
II	4.10	3.35	0.75	81.7	2.8	9.4	3.5	3.04	3.5	3.04	არასრული ჩარჩო მთ. სახილში სახურავის ამოკვეთით	0.90		
III	3.77	2.85	0.92	75.6	2.82	8.0			3.0	2.30				
IV	4.04	3.66	0.38	93.6	2.82	10.3					არასრული ჩარჩო ცალი გვერდით და სახურავის ამოკვეთით	0.90		
V	3.36	3.20	0.16	95.2	2.82	9.0	3.5	3.04	3.0	2.30	არასრული ჩარჩო სახურავის ამოკვეთით	0.70		
VI	2.94	2.94	დალიან ცოტა	100	2.82	7.5	3.5	3.04	3.0	2.30	იგივე	0.70		
VII	3.27	3.27	"	100	2.82	7.5	3.5	3.04	3.0	2.30	იგივე	0.70		

შენიშვნა: შავი ქვის წყვედს ქვედა დასტის ნაწილი II, III, IV და ნაწილობრივ V აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ იგი მთლიანად იქნას ამოღებული.

დ ი თ ი ს ა მ უ მ ა ვ ე ბ ი

ლაგების დასაშვები სიგრძე მეტრებში	სპირაჯოების დასაშვები სიგრძე მეტრებში	გამაგრების წესი ლაგებში	გამაგრების წესი სპირაჯოებში	ქ ე რ ი ს მ ა რ თ ვ ა							სპირა-ჯოებში	განთავების ხასიათი		
				მ ა ვ ე ბ ე მ ა										
				მანძილი ბიგების რიგებს შორის	მანძილი რიგში ბიგებს შორის	კერის მართვის წესი	ჩამოქცევის მიჯი	რიგების რიგები ლაგაში ჩამოქ. სანგ.	მანძილი ჩარჩოებს შორის	კერის მართვის წესი				
	4.0		არასრ. ჩარჩო ცალკე. გვერდზე მთ. მეს.								0.7	ჩამოქცევით	ხელაფური	თვითღონება
3.0		ცალთავიანებით და ბუჩქებით გადატეხვის ხაზზე მესრით		1.2-1.3	0.7-0.9	ჩამოქცევით	2.5-3.0	4.0				"	"	"
20-25		"		1.2-1.3	0.7-0.9	"	2.5-3.0	4.0				"	"	ტუმბვა
20-25		"	არასრული ჩარჩო ცალკვერდზე მთ. მესრით	1.2-1.3	0.7-0.9	"	2.5-3.0	4.0	0.7	"	"	"	"	"
20	5.6		არასრული ჩარჩო სახურავის ამოკოჭვით	1.2					0.7	"	"	"	"	თვითღონება
20	5.6	ცალთავიანებით და ბუჩქებით გადატეხვის ხაზზე მესრით	"	1.2	0.7-0.9	"	2.5-3.0	4.0	0.7	"	"	"	"	"
20	5.6	"	"	1.2	0.7-0.9	"	2.5-3.0	4.0	0.7	"	"	"	"	"

უბანში ჯერაც აუღებელი რჩება, რასაც შემდეგისათვის სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს,

თად, თხილის წყლის მალაროში, სადაც ნორმალური მუშაობის აღსადგენად საკირო შეიქნა 14-მეტრიანი გეზენკის გაყვანა.

ძალიან გართულებულია სამთო სამუშაოების წარმოება იმ ადგილებში სადაც მავნური ქანი (ბაზალტი) არის გავრცელებული. მეოთხე უბნის მერვე გვირაბის მთელი რიგი სანგრევები შექრილია ბაზალტებში. აქ ბაზალტებს უმთავრესად უკავიათ სანგრევის ქვედა ნაწილი. ზოგ სანგრევზე ბაზალტები მოთავსებულია დანალექ ქანთა ან მადნის წვრილ ფენთა შორის და ზოგან კი მასივის სახით არიან შემოჭრილი მადნის წყებაში პატარა ბორცვის სახით. ბაზალტების გავლენით ზოგ ადგილას მადანი ძალიან არის აშლილი, სახეცვლილი და გამავრებული.

ამ მალაროს ზოგიერთ უბანში შავი ქვის შრის დიდი სისქის გამო შესამჩნევად რთულდება სამთო სამუშაოებს წარმოება და ამიტომ ქერის მართვის საკითხს აღნიშნულ უბნებში უნდა მიექცეს მაქსიმალური—განსაკუთრებული ყურადღება. დაქანებული შრეების გამომუშავების შემთხვევაში გვერდითი ქანები მოძრაობენ დაქანების მიმართულებით, რაც შესამჩნევად ართულებს სამთო სამუშაოების წარმოებას და საკიროებს გაძლიერებულ გამავრებას; ამ ადგილებში ზოგან გვირაბები გაყავთ მეტი სიგანით, რომ მოათავსონ გაყვანის დროს მიღებული ფუჭი ქანი, მაგრამ ამით გვირაბების გამავრება სუსტდება და ირღვევა მათი სტანდარტული კვეთი.

თხილის წყალის მალაროში არსებული ნახსლექტი ძალიან ხელს უწყობს გამონამუშევრების განიავებას, რის გამოც CO₂ რაოდენობა იქ შედარებით უმნიშვნელოა.

აშლილობის მეოხებით ზოგჯერ მადანი ძალიან არის გაღარიბებული, ასეთ მადანში ლითონ მანგანუმის შემცველობა არ აღემატება 20—25⁰/₁₀₀-ს.

ძველად, პერევისის რაიონში, ისე როგორც სხვა მალაროებში, შავი ქვის მადნის ექსპლუატაციას მტაცებლური ხასიათი ჰქონდა; თითქმის მთლიანად რჩებოდა შავი ქვის სამუშაო ჰორიზონტის ზედა ნაწილში მოთავსებული კარგი ხარისხის, ევრეთწოდებული „ჟღალი“ და შავი ქვის წყების ამავე ნაწილის ფუჭეში განლაგებული „საცხრილი“ (ქვედა დასტა).

ამის გარდა მთელ რიგ შემთხვევებში ძველ სამარქშიდერო გვეგმებზე არ არის სწორად დატანილი გაყვანილი გვირაბები და მადნის დარჩენილი მთელები (თხილის წყალი), რაც ძალიან ხელს უშლის მადნის ნორმალურ ექსპლუატაციის საქმეს—ადიდებს მადნის დანაკარგებს და აძვირებს სამუშაოებს, ვინაიდან ხშირად გამომუშავებულ სივრცეში გვხვდება სამთო სამუშაოების გაყვანა.

გამონამუშევრების ზევით მდებარე ზოგიერთ უბნის ზედაპირის დაჯდომის ხასიათი, იქ სადაც ქვიშა სჭარბობს, უმთავრესად ორმოსებრივია და ისეთ ადგილებში კი, სადაც ქვიშაქვაა ზედაპირზე გავრცელებულია შედარებით გრძელი, ღია ბზარები.

სამთო სამუშაოებში წყალი ხშირად გვხვდება შავი ქვის წყების სამუშაო ჰორიზონტის ქვედა ნაწილში, რომელიც ზოგჯერ შესამჩნევად აფერხებს ქვედა დასტის ექსპლუატაციის საქმეს. ლავების გარდატეხის დროს ზოგჯერ წყალი ჩამოდის სახურავ ქანებიდან. გარდა ამისა აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ მესამეულ

დანაღეჟ ქანებს შორის ვნახულობთ კარგი სასმელი წყაროების პატარა გამო-
სავლებს. ისინი უმთავრესად გვხვდებიან ქვიშაქვებისა და კირქვების წყებთან
შორის მოთავსებულ თიხის შუაშრისებში.

პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის
წყალშემცავი ჰორიზონტი, რომელიც შავი ქვის წყებას ადევს თავზე. ამ ჰორი-
ზონტში ხშირად გვევლინება წყაროები, რომელნიც უარყოფით გავლენას ახდენ-
ენ შავი ქვის გამოღების საქმეზე.

მეწყურების წარმოშობას ბიძგს აძლევს გამონამუშევრების ჩანგრევა, რომე-
ლიც; მაგ., მოხდა თხილის წყლის მალარობეში, რამაც აქ გამოიწვია კაპიტა-
ლური საცხოვრებელ ბინის დაზიანება. შედარებით დიდი მეწყურია, აგრეთვე,
პერევისის ჩრდილოეთ ნაწილში, კოროხნალის ახლოს, რომლის მოძრაობა ამ
ერთი წლის წინათ იყო აქტიური და იწყებდა საავტომობილო გზის ხშირ და-
ზიანებას.

2) ამხანაგ ლენინის სახელობის № 29/30 მადარო (შუქრუთის ზეგანი)


საერთო შენიშვნები

ამხანაგ ლენინის სახელობის მადარო მოთავსებულია ქიათურის შავი
ქვის საბადოს შუქრუთის ზეგანზე და წარმოადგენს პერევისის ზეგანის უშუალო
აღმოსავლეთ ნაწილის გაგრძელებას. იგი ქალაქ ქიათურაზე დაშორებულია
2,5 კილომეტრით და უკანასკნელს კოროხნალის მხრიდან უკავშირდება საავტო-
მობილო გზატკეცილით. შუქრუთის ზეგანის ფართობი უდრის 6,6 კვადრატულ
კილომეტრს და წარმოდგენილია ვაკე მალლობის სახით, რომლის აბსოლუტური
სიმაღლე შავი ზღვის დონესთან შეფარდებით იცვლება 682,8 (პუნქტი დობა-
ნაური) მეტრიდან 763,0 მეტრამდე.

გეოლოგიური აგებულება

შუქრუთის ზეგანი წარმოადგენს პერევისის ზეგანის უშუალო გაგრძელებას
და ბაზალტების გარდა შუქრუთში გვხვდება (მკირე ცვლილებებით) ყველა ის
დანაღეჟი ქანი, რომელნიც გავრცელებული არიან საკუთრივ პერევისის რაი-
ონში, ასეთებია: ზედა ცარცული კირქვები, ოლიგოცენის სპონგოლითური კა-
ჟიანი ქვიშაქვები შავი ქვის წყებით ფუჭეში, ჩოკრაკის ლია ფერის ფხვიერი
ქვიშები, პექტენებიანი კირქვები და ქრელი ფერის თიხები, ჩოკრაკის ქრელ
თიხებზე განლაგებულია კარაგანის ჰორიზონტის სპანიოდონტელებიანი კარბო-
ნატული ქანები, კარაგანის ნალექების თავზე მოთავსებულია კონკური ჰორი-
ზონტის ფალადური ფენი და ბოლოს ფალადური ჰორიზონტის თავზე განლაგე-
ბულია ზედა კონკური ჰორიზონტის თიხები და ქვიშაქვიანი თიხები. გვხვდება
აგრეთვე მეოთხეული სისტემის ნალექები.

შუქრუთის ზეგანზე მკაფიოდ გამოისახულ გეოლოგიურ აშლილობას ადგილი
არ აქვს. შრეებს აქვთ ჩრდილო-აღმოსავლეთით დაქანება და მათი ვარდნის
კუთხე საშუალოდ უდრის 1° 30' (იხ. 9 სურ.).



9 სურ.

შუბრუთის ზეგანის დამახასიათებელი ჭაბურღილის გეოლოგიური კრილი № 12 ჭაბ.

1—ნიადაგი; —თიხები; კ—სპანიოლონტელებიანი კირქვები; 4—თიხიანი ქვუშაქვა; 5—ქვიშაქვიანი თიხა; 6—ჩოკრაკის ქვიშა ქვიშაქვის შუაშრისებით; 7, 9—ქვედა ოლიგოცენის კაჟიანი სპონგოლითური ქვუშაქვა; 8—კირიანი ქვიშაქვა; 10—შავი ქვის მადნის წყება; 11—ხედა ცარცული კირქვა.

№ კვ.	სიღრმე მ.	სტრუქტურა	Mn	Mg	SiO ₂	P	Fe	CaO		
1	0.74		0.74	32.77	25.37	0.64	7.0	1.18	1.10	
2	0.15		0.89	28.67	30.65	30.28	0.172	1.10	1.25	
3	0.26		0.96							
4	0.47		1.42	7.6	9.4	0.29	12.26	0.178	1.12	1.05
5	0.18		1.60							
6	0.20		1.80	6.4	6.3	0.28	12.52	0.180	0.89	1.28
7	0.20		2.00							
8	0.58		2.58	4.1	3.0	3.4	18.0	0.181	1.05	1.01
9	0.46		3.04							
10	0.86		3.90	4.2	4.6	0.0	10.6	0.168	1.12	0.82
11	0.73		4.63							
12	0.50		5.13	13.17			4.283			
13	0.17		5.30							
14										

10 სურ.

№ 3 უბანი, № 33 გამომუშევი პროდუქციული შავი ქვის შრის კრილი.

1—ქვადი; 2—მარცვლოვან-ოლითური მურა ფერის მადანი ქვიშაქვის შუაშრისებით და ლინზებით; 3—მოწა ფერის ქვიშაქვა; 4—მურა ფერის მარცვლოვანი მადანი პლასტის ნატეხებითა და რუხი ფერის თიხიანი ქვიშაქვით; 5—კრული ფერის ქვიშაქვა; 6—მოწითალო ფერის შავი ქვიშაქვა; 7—რუხი ფერის ქვიშაქვა; 8—მოწითალო ფერის მადანი შედარებით მიატე პლასტის ნატეხებით და რუხი ფერის ქვიშაქვის მუქმარცვლოვანი მადნით; 9—ლა ფერის ქვიშაქვა მ-სატეხით; 10—სატეხილი; 11—ქვიშაქვა; 12—ცვალებადი, ძალიან ქვიშაქვიანი და გამწვავარებული მადანი; 13—კონკრეტული მადანი; 14—ხედა ცარცული კირქვა.

შაკი ქვის წყება

პერევისის ზეგანის შავი ქვის წყების ანალოგიურად შუქრუთის წყება იყოფა ორ ნაწილად (ქვედა და ზედა).

შავი ქვის წყების როგორც ქვედა ისე ზედა ნაწილში მადნის შუაშრისები მორიგეობენ ქვიშაქვის ან თიხიან ქვიშაქვის წვრილ ფენებთან. პროდუქციული ნაწილის შუაშრისთა რიცხვი იცვლება 8-დან 16-მდე. შავი ქვის მადნის პრაქტიკული მნიშვნელობის ჰორიზონტის საშუალო სისქე 1939 წლის სამთო სამუშევრების მონაცემების საფუძველზე ქანაობს 3,3-დან 3,5 მეტრამდე და მისი საშუალო სასარგებლო სიმძლავრე იცვლება 2,56-დან 2,73 მეტრამდე. პრაქტიკული მნიშვნელობის მადანი საშუალოდ 10% წყალს შეიცავს.

ლითონ შავი ქვის საშუალო შემცველობა პროდუქციულ მადანში იცვლება 25-დან 40%⁶-მდე. ამჟამად არა პრაქტიკული მნიშვნელობის შავი ქვის წყების ზედა ნაწილი პერევისის ზეგანის შავი ქვის წყების ზედა ნაწილის ანალოგიურია და ამიტომ მათ შესახებ აქ არაფერს ვიტყვი.

შუქრუთის ზეგანზე განვითარებულია შავი ქვის მადნის შემდეგი ტიპები: მარცვლოვან-ოლითური მადანი, საცხრილე, მწვარი, პლასტი და იშვიათად მურა ბელტა. აღნიშნული შავი ქვის მადნის მთავარდ მინერალებია: ფსილომენი, პიროლუზიტი, ზოგჯერ მანგანიტი და სხვა (იხ. 10 სურ.).

მალაროზი სამთო ტექნიკური პირობები

ამხანაგ ლენინის სახელობის მალაროზი მუშავდება შავი ქვის მადნის ერთი ჰორიზონტი საცხრილის და ჟღალის მთლიანი ჩამოლებით. პროდუქციული მადნის ჰორიზონტის სახურავ გვერდში განლაგებულია შედარებით მაგარი სპონგოლითური კაჟიანი ქვიშაქვები და საგებ გვერდში მოთავსებულია კირქვები (ზოგჯერ ქვიშაქვები).

ამ მალაროზი შავი ქვის ექსპლუატაციის პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე პერევისის მალაროზებში, ვინაიდან აქ გეოლოგიურ აშლილობათა მეოხებით თითქმის არავითარი დაბრკოლება არ გვევლინება წინ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მდგომარეობას, რომ ზოგჯერ აქაც შავი ქვის სამუშაო ჰორიზონტის ფუძეში განლაგებული „მწვარი“ ოდნავად აფერხებს მუშაობას. სამთო გამონამუშევრების შიგნით საცხრილის ფენში ზოგჯერ ხდება წყლის მოდენა (იხ. 9 ცხრ.).

იმის მიუხედავად, რომ ამ მალაროზი სამუშაო შავი ქვის მადნის შრის სიმძლავრე ზოგ სანგრევებზე 4,0 მეტრამდე აღწევს, ქვრის მართვა მაინც არ არის ძნელი, ვინაიდან სახურავი ქანები შედარებით მაგარია, კარგად უძლებენ სამთო დაწოლას და მოულოდნელად არ ინგრევიან. მაგალითად, მეორე უბნის შტრეკი, № 42-ის ახლოს ძველად გაუმარგებლად გაყვანილი შტრეკი, ახლაც კარგად დგას, და ლავეებში მუშაობა ამჟამად შედარებით უსაფრთხოა.

ძველად, როგორც ამხანაგ სტალინის სახელობის მალაროზი, შავი ქვის მადნის ექსპლუატაცია მტაცებლური იყო, მთლიანად რჩებოდა შავი ქვის მადნის სამუშაო ჰორიზონტის ზედა კიდეში მდებარე „ქლალი“ და შავი ქვის წყების ამავე ნაწილის ფუძეში მოთავსებული კარგი ხარისხის „საცხრილე“.

სადაც დაარსდა შეიქმნა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი	სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი												
								სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი												
								სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი												
								სადაც დაარსდა მეტროპოლიტენი												
I	3.50	2.90	0.60	82.8	6.8	4.0	4.04	3.04	0.90	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
II	3.5	2.7	0.80	77.1	6.4	4.0	3.04	3.04	0.90	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
III	3.5	2.7	0.80	77.1	6.4	4.0	3.04	3.04	0.90	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
IV	3.5	2.7	0.80	77.1	6.4	4.0	3.04	3.04	0.90	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
V	3.3	2.46	0.84	77.0	6.8	4.0	3.04	3.04	0.90	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30

შენიშვნა: აქვე ხაზგასმითაა აღსანიშნავი, ას მდგომარეობა, რომ სამშენებლო შვიტის მართობის მაჩვენებელი გეგმიური მაჩვენებლის შუაშრის, რომლის სიმძლავრე მერჯულბა (0,30) მეტრიდან (0,57) მეტრამდე. მასში ლითონ მანგანუმის შემცველობა კაბონს 11,06%-დან 21,92%-მდე და SiO₂ რაოდენობა იცვლება 33,28%-დან 41,13 პროცენტამდე. ეტი საექსპლუატაციო მადნის ჰორიზონტიდან გამოყოფილია ოლიგოკენური და მთლიან კვიპიტის ფენით, რომლის (კანის) სისქე საშუალოდ იცვლება 0,53 მეტრიდან 1,0 მეტრამდე. შვიტის მადნის შუაშრისი ანგარიშ არ შეწავდება და იგი მთლიანად რჩება ამოუღებელი.

ძველი სამარქშიედრო გეგმებიც არ არის საკმაოდ ზუსტი, ვინაიდან ისინი სწორად არ გამოხატავენ მალაროს ფაქტიურ მდგომარეობას და ხშირად ეკლექტიკური პლუტაკიის დროს მთელ რიგ მოულოდნელ ძველ გამონამუშევრებს ეკლექტიკურ რაოდენობაზე ართულებს კაპიტალურ გვირაბების გაყვანას და მოსამზადებელი მუშაობის წარმოებას. მაგალითად, ქალების რაიონში № EF კაპიტალურმა შტოლმმა საკმაოდ დიდი, ძველ სამარქშიედრო გეგმაზე არაღნიშნული, გამო-
მუშავებული სივრცე გაიარა.

შუქრუთის ზეგანის იმ ადგილებში, სადაც შავი ქვის ფენის თავზე მდებარე ქანების სისქე შედარებით მცირეა, მადნის გამომუშავების შემდეგ ადგილი აქვს ზედაპირის დარღვევას გრძელი ბზარების სახით, რის შედეგად ხდება ნაგებობათა დაზიანება და ზოგჯერ დანგრევა. კოროხნალის კაპიტალური შტოლნის საცხოვრებლის უკან მდებარე უბნის ქანების დარღვევა გამოწვეულია მიწის ქვეშა სამუშაოების ჩამონგრევით. აქ სპონგოლითური კაჟიანი ქვიშაქვების მასივი ძალზეა დაბზარული და მისი ცალკეული ნაწილები წარმოდგენილია დიდი ლოდების სახით. ნაპრალების განვრცილობა მერყეობს 310°—320° ფარგლებში, რომელთაც ბოლოებში საელმაგლო გზისაკენ ემჩნევათ შემობრუნება და ცოტა ძირს დაწევა—დაჯდომა.

გარდა ამისა კოროხნალის საავტომობილო გზის გასწვრივ მადნის გამოსავლის ჰორიზონტზე გვხვდება შედარებით პატარა მეწყერი, რომლის მოძრაობას ხელი შეუწყო საავტომობილო გზის გაყვანამ. საქმე ისაა, რომ გზის გაყვანის დროს გასქრეს მისი ფუძე, რამაც გამოიწვია თიხოვანი მიწის მასის წონასწორობის დარღვევა და მოძრაობის დაჩქარება.

3) აშხანაგ დიმიტროვის სახელობის მალაროზი

ა) № 32 მალარო (ითხვის-კალაურის ზეგანი)

საერთო შენიშვნები

აშხანაგ დიმიტროვის სახელობის № 32 მალარო კალაურის უბანთან ერთად მდებარეობს ქიათურის შავი ქვის საბადოს აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება შუქრუთის ზეგანს და ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ ფასიეთს. იგი დაშორებულია 6,8 კილომეტრით ქალაქ ქიათურაზე, უკანასკნელს უკავშირდება რკინის გზით და საავტომობილო გზატკეცილით. აღნიშნული მიდამოების ფართობი უდრის 11 კვადრატულ კილომეტრს (ითხვისის—5 კვადრატული კილომეტრი და საკუთრივ კალაურის 6 კვადრატული კილომეტრი) და წარმოდგენილია შედარებით უსწორმასწორო ზედაპირიანი მალაროზის სახით, რომლის უმადლესი წერტილების აბსოლუტური სიმაღლე შავი ზღვის დონესთან შედარებით მერყეობს 707,4 მეტრიდან (პუნქტი ითხვისის—II) 763,1 მეტრამდე (კალაურში).

გეოლოგიური აგებულება

ითხვის-კალაურის ზეგანზე წარმოდგენილია მარტოოდენ ზედა ცარცული და მესამეული დანალექი ქანები. ზოგან გვხვდება მეოთხეულის სისტემის ნალექები.

შუქრუთის ზეგანის ანალოგიურად აქაც ყველაზე ძველ ქანად მოვლინებულია ზედა ცარცული კირქვები, რომელთა ხილული სიმძლავრე 200 მეტრამდეა. ვინაიდან ნული კირქვების ფერი იცვლება თეთრიდან მოყვითალო თეთრამდე და მჭიდროდ ჰორიზონტში ზოგჯერ აქვთ ბრექჩიული ხასიათი.

ზედა ცარცის კირქვების ზევით უთანხმოდ განლაგებულია მესამეული სისტემის ოლიგოცენური დანაღები ქანები, რომელთა ფუძეში მოთავსებულია შავი ქვის მადნების წყება. შავი ქვის წყება ზედაცარცული კირქვებიდან გამოყოფილია 3—12-მეტრიანი სიმძლავრის სუსტად შეცემენტებული ტლანქმარცვლოვანი ქვიშაქვით, ზოგჯერ თიხიანი ქვიშაქვით. ოლიგოცენის დანაღები ფენები მორიგობენ ერთიმეორესთან და წარმოდგენილი არიან სპონგოლითური ქვიშაქვებით, თიხიანი ქვიშაქვებით, ქვიშიანი თიხებით და თიხებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი დაღეჟა ხდებოდა წყალნაკლ აუზში, რომლის გარემო განიცდიდა ხშირ ცვალებადობას. ოლიგოცენის ნაღებების სიმძლავრე ითხვისის ზეგანის საზღვრებში ქანაობს 50 მეტრიდან 70 მეტრამდე და მისი სისქე მცირდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით (კალაურში ოლიგოცენის ნაღებების სიმძლავრე იცვლება 30 მეტრიდან 40 მეტრამდე).

მიოცენის ნაღებები ოლიგოცენურ ქანებზე ტრანსგრესიულადაა განლაგებული და წარმოდგენილია ჩოკრაკით, კარაგანდული ჰორიზონტით, ფოლადური ფენით და კონკური ჰორიზონტით.

თავისთავად ჩოკრაკი წარმოდგენილია ქვიშით, პექტენებიანი კირქვით და ჭრელი ფერის თიხებით. ქვიშებს შორის გვხვდება გაკაუებული ქვიშაქვები და ჭრილის აღმავალი მიმართულებით ზოგიერთ ადგილას ქვიშები იცვლებიან კირქვის მცირე სისქის ფენით, რომელთა თავზე და ხშირად უშუალოდ ქვიშაზე განლაგებულია ჭრელი ფერის თიხები.

ქვიშების მაქსიმალური სისქე საკუთრივ ითხვისის ზეგანზე არის 100 მეტრი (ქაბურღილი № 2) და მისი მინიმალური სიმძლავრე კალაურის რაიონში უდრის 15 მეტრს (ქაბურღილი № 29). ითხვისის ზეგანის ცენტრალურ ნაწილში ქვიშებზე უშუალოდ განლაგებულია 2—3-მეტრიანი სიმძლავრის ჩოკრაკის პექტენებიანი კირქვები და ქვიშაქვიანი კირქვები.

ფერად-ფერადი თიხები განლაგებულია ჩოკრაკის ჭრილის ზედა ჰორიზონტში, აქვთ ძალიან ცვალებადი სისქე და მათი სიმძლავრე არ აღემატება 20—25 მეტრს.


